საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 24 იანვარი, 1920 წ.

# ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ხელის განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 17 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებ სა № 17

კვირას, 1920 წ 25 იანვარს, დღის 12 საათზე, თფილისის სასოფლო სამეურნეო ბანკის ბინაზე (დამფუძნებელ კრების ქუჩა № 5) დანიშნულია

## საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა

განსახილველია საკითხები:

1) საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა არტელის წარმომადგენელის მოხსენება არტელის საქმეების შესახებ. 2) საქართველოს ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკის ორგანიზაცია. 3) სხვა მიმდინარე საკითხები. ყრილობის წევრნი და ზემოაღნიშნულ საკითხებით დაინტერესებულნი პროვინციელი საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი გზავნიან ხსენებულ ყრილობაზე ამ განცხადების მიხედვით თითო წარმომადგენელს სათანადო რწმუნებულებით. (268—3—2)

ქართველ მწერალთა კავშირის საბჭო იწვევს ქართველ მწერლებს და ქართველ საზოგადოებას მობრძანდენ კვირას, 25 იანვარს, დიდუბის ეკლესიის გალავანში—პანთეონში, სადაც მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო გადახდილ იქნება სიკლიო და სამოქალაქო პანაშვიდები საქართველოს თავისუფლების მონატრე პოეტ მწერალთა:

### ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იროდიონ ევდოშვილის, არჩილ ჯორჯაძის, პიტა აგაშიძის, ლალიონის, იაკობ გოგებაშვილის, ნინო ორბელიანის

და სხვა მოღვაწეთა ნაღვაწის გასახსენებლად და სახელის მოსახსენებლად. სიტყვებს წარმოსთქვამენ: დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, ივანე გომართელი, აკაკი პაპავა, პავლე იაშვილი და სხვ. ნი. (ნ. 2—1)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ეფროსინე დავითის ასული, შვილები: ანდრია, ნინო, სიძეები: ერასტი და მისი მეუღლე მატილდა დიმიტრის ასული მაჭავარიანები, იაკინთე და მისი მეუღლე დესპინე იოსების ასული და მათი შვილი ელენე შევარდნაძეები, აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ შაბათს, ა. წ. 23 იანვარს დილის 10 საათზე ქ. ლანჩხუთში წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ექიმი

### დიმიტრი იოსების-ძე ჟორდანიას

სულის მოსახსენებლად (263—2—2)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მელანია, შვილები: ანეტა, ოლღა, და ალიოშა ჯინჭარაძენი, სიძე არტემ გოგიშვილი უღრმეს მადლობას სწირავენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომლებმაც გაიზიარეს მწუხარება

### იაგორ მაქსიმეს ძე ჯინჭარაძის

გარდაცვალების გამო, რომლის დასაფლავება მოხდა სოფ. უჩხობში 21 იანვარს. (ნ. 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ქმარი ესტატე ქაიხოსროს ძე, შვილები: ნესტორ და ვალერიანე ჯანელიძეები, ბიძები მღვდლები: გიორგი ჯანელიძე და ბესარიონ შელაძე, მამიდები ეფროსინე და მატრონა, მაზლი სიმონ ჯანელიძე, რძლები: ანნა, ელპინი და გაიანე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

### მინა ჯანელიძისა

მღვდლის დიმიტრი კაჭარავას ასული, რომლის დასაფლავება მოხდა ოთხშაბათს 21 იანვარს (ახ. სტ.) სამღლოს მთავარ ანგელოზის ეკლესიის გალავანში. (ფ. 1—1)

შვილები პლატონ და ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბახტაძეები და ლიზა ნიკოლოზის ასული აბულაძისა, რძლები მაკრინე და მინადორა და შვილიშვილები ჩიტო, ქიონა, საშა, ჟორჟიკა, აგრიფინა, ელიკო, თამარა და გრიშა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებას ძვირფასი

### ედუსი პ ციას ასული ბახტაძისა

გამოსვენება და დაკრძალვა შაბათს, 24 იანვარს, დილის 11 ს. ქ. ხონში, წმ. გიორგის ეკლესიაზე. (275 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ძმობლები ნიკო და კატო ბერეჟიანები, მამიდა ნინო თხელიძისა და დეიდა ნატალია სადგიძიშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, მათთვის დაუვიწყარ და ძვირფას

### ქეთოს

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 24 იანვარს 3 საათ. წმინდა ნინოს სასაფლაოზედ. (277—1—1)

ალექსანდრე მიხეილის ძე ჯაფარიძე შვილებით: ნიკოლოზ, მარიამ, მიხეილ და თამარ-თი ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ხანგრძლივის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ პირველი საყვარელი ძმის და მეორენი ბიძის

### მელიტონ მიხეილის ძის ჯაფარიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, დასაფლავება კვირას 25 იანვარს ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ დილით 9 და ნახევარ საათზე. ფედოსიევის იუჩა საკუთარი სახლი № 20. (278—1—1)

საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა არტელის გამგეობა ამით აცხადებს, რომ იგი ამა 1920 წლის 25 იანვარს, კვირას, დილით, 10 საათზე, გამგეობის ბინაზე (ვერის აღმართი, სახლი ანანოვისა, № 12) იწვევს

### წევრთა წლიურ კრებას

დღის წესრიგი: 1) გამგეობისა და სათათბირო სარევიზიო კომისიის მოხსენება არტელის წლიურ ანგარიშისა და საერთოდ საქმეთა მდგომარეობაზე, 2) 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. 3) არჩევნები გამგეობისა და სათათბირო სარევიზიო კომისიის წევრთა. (274 1—1)

დესპინე მიხეილის ასული და ათანასიონ კონსტანტინეს ძე ჯ. ფარიძენი ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვლებას პირველი ძმისას და მეორე ცოლის ძმის

### მელიტონ მიხეილის ძის ჯაფარიძისას

ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ. (278—1—1)

## ერობათა კავშირის კომიტეტი გადავიდა ახალ ბინაზე

რუსთაველის პროსპ. № 24, (ყოფილი გაზ. „ერთობის“ ბინა. (2—1)

ექიმი ხარდიონ ამბროსის ძე

### ცეხანოვსკი

საპიორნი ქუჩა საკ. სახლი № 28 ევანგულოვის ქუჩის კუთხე სახელმწიფო თეატრის უკან.

ჩამოვიდა ქუთაისიდან და ღებულობს სქესის, შარდის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს (606—914)

მიღება: დილის 8—9 ს. მოწაფეებს და ღარიბებს უფასოთ. 10—12 ს. საღამოს 4—5 ს. მარტო ქალებს 5—6 ნახ. ს. (თ.—8423)

### ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.).

## საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი

ამ დღეებში თბილისში მოხდა ამიერ-კავკასიის სამ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. ამ თათბირს ჯერ არ დაერქმის „კონფერენცია“, ამისთვის მას ბევრი ნიშნები აკლია. მაგრამ მომავალ კონფერენციის მოწვევაში იგი, უეჭველია, თავის როლს ითამაშებს. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთობა უფრო და უფრო მტკიცეთ ადგება დაახლოვების და შეკავშირების გზას. უფრო და უფრო მაგრდება და შეურყეველი ხდება ის აზრი, რომ „ყველა სადავო საკითხები რესპუბლიკათა შორის უნდა წყდებოდეს არა იარაღის საშუალებით, არამედ შეთანხმების და არბიტრაჟის გზით.“ უფრო და უფრო ცილოზელი ხდება ის ჭეშმარიტება, რომ ეს წინანდელი დადგენილება უნდა საქმედ იქცეს და ცხოვრებაში გატარდეს.

თათბირზე დაბადებულა ერთი აზრი, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა დაბადებულიყო: წინანდელ დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა მუდმივი ორგანო და ამ ორგანოს უქონლობის გამო „სამი მინისტრის თათბირმა ძლიერ საჭიროდ ალიარა სამთავე სახელმწიფოს დელეგატების მუდმივ და რეგულიარულ ხეხიების მოწყობა წინასწარ დანიშნულ დროზე რიგ-რიგობით ყველა რესპუბლიკების დედა ქალაქებში“. ეს გადაწყვეტილება შემდეგი ნაბიჯია ჩვენი რესპუბლიკების დაახლოვება-დამეგობრებისაკენ გადადგმული. ასეთი ნაბიჯი მაჩვენებელია იმ აზრის გამაგრებისა, რომ ამიერ კავკასიის რესპუბლიკები ცალ-ცალკე ვერ იარსებებენ, რომ მათ შორის მჭიდრო კავშირი ისტორიული აუცილებლობაა. და ამ აუცილებლობისაკენ მიდის პირდაპირი გზით ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკა.

თათბირზე მიღებულ რეზოლიუციებიდან სჩანს, რომ მთელი მისი მუშაობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის ცნობის გავლენით ხდებოდა. ხაზგასმით და ერთხმად იყო ალიარებული: „ამ.-კავკასიის სამივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იდეა მოითხოვს კვლავ განვაცხადოთ, რომ სამივე რესპუბლიკა თავის დამოუკიდებლობას დაიცავს ყოველგვარ თავდასხმისაგან“. დამოუკიდებლობის დაცვის საჭიროება და ის იდეა, რომ დამოუკიდებლობა აუცილებელი პირობაა ამიერ კავკასიის რესპუბლიკების არსებობისა, ძალ რწილში უძევს სამივე რესპუბლიკის მეთაურთ.

მეზობელ სახელმწიფოების მიერ ახალი შესამჩნევი ნაბიჯია გადადგმული ამ იდეის გასამაგრებლად. თათბირზე დადგენილ იქნა: თავის ხუვერენულ უფლებათა დასაცავად ბრძოლაში იხინი (რესპუბლიკები) ერთმანეთს ყოველმხრივ დახმარებას აღმოუჩენენ სიტყვა, თქმული სახელმწიფოს წარმომადგენელის მიერ, როგორც ამბობენ, „აველებს“. რას ნიშნავს ეს „ყოველმხრივი დახმარება“? ეს ნიშნავს იმას, რომ, თუ ამიერ კავკასიის რომელიმე სახელმწიფოს საზღვრებში შემოიჭრა გარეშე მტერი, დანარჩენი სახელმწიფონი მოვალედ ჩასთვლიან თავს აღმოუჩინონ მას, სხვათა შორის, სამხედრო დახმარებაც. ეს პირობა, მაშასადამე, გულისხმობს ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკის შორის ისეთსავე სამხედრო ხელშეკრულებას, როგორიც უკვე არსებობს საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის.

საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის დადებულ სამხედრო ხელშეკრულებაში იმედი იყო გამოთქმული, რომ ორ რესპუბლიკას მოკლე დროში მესამეც—სომხეთიც შეუერთდება. ეს იმედი ხელშეკრულების დადების დროს სხვა და სხვა გარემოების გავლენით, სამწუხაროდ, არ გამართლდა:—სომხეთი ხელშეკრულებას მაშინ არ შეუერთდა. სამაგიეროდ, ეს იმედი დღეს მართლდება, საქართველო-აზერბეიჯანის კავშირში სომხეთიც ებმის. თათბირზე მიღებული რეზოლიუცია კიდევ უფრო წინ მიდის.

იგი გულისხმობს კიდევ იმას, რომ სამხედრო ხელშეკრულება კიდევ უფრო გაფართოვდება, „ერთმანეთის დახმარება“ მარტო სამხედრო დახმარების ფარგლებით არ განისაზღვრება, რომ იგი მართლაც „ყოველ მხრივად“ გადიქცევა.

დამოუკიდებლობის ცნობამ უკვე თავისი ბეჭედი დაასვა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთობას. ეჭვი არ არის, რომ მათი დაახლოვება ამიერიდან კიდევ უფრო დიდი ნაბიჯებით წავა წინ, რომ მეზობელი სახელმწიფოები მოკლე ხანში თითონვე, თავის ძალებით, სხვის ჩაურევლად და დაუხმარებლად გადასწყვეტენ იმ სადავო კითხვებს, რომელიც მათ შორის არსებობს.

## სპეკულიანტების თარეში.

სპეკულიანტები თავისუფლათ თარეშობენ. დღეში რამდენჯერმე სცვლიან ფასებს და მათ გაუმაძღრობას საზღვარი არ უჩანს. ისინი სრულიად თავისუფლათ გრძნობენ თავს, მომხმარებლის ჯიბას როგორც მოეხასიათებათ ისე ატრიალებენ და მით რესპუბლიკას კატასტროფას უმზადებენ. ყოველ გაჭირვებას, ყოველგვარ კრიზისს თავის სასარგებლოთ იყენებენ და ასე ისედაც გართულებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებენ.

ფასების ვაქხანალია იწვევს ხელფასის გადიდებას, ხელფასის გადიდება საქონლის ფასის ერთი-ათად და კიდევ მეტად ზრდას და ეს დაუსრულებელი ორონტრიალი აფორიაქებს რესპუბლიკის ეკონომიურ ცხოვრებას და მით მის პოლიტიკურ არსებობასაც საფრთხეში აგდებს.

თუ წინათ სპეკულიანტები ზოგიერთ შემთხვევაში მაინც გრძნობდენ ერთგვარ პასუხისმგებლობას, დღეს ისინი თითქოს განთავისუფლდენ ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან და ეს მიუხედავათ იმისა, რომ მათთან საბრძოლველათ სასტიკი კანონიც კი იყო მიღებული დამფუძნებელი კრების მიერ.

სამწუხაროთ, კანონი კანონათ დარჩა, მისი ცხოვრებაში გატარება არ მოხერხდა თუ ვერ მოახერხეს და აწან კიდევ უფრო გაათამამა და გააძლიერა სპეკულიატური თარეში.

ჩვენ ვაქცევთ ამ გარემოებას იმათ ყურადღებას, ვისაც ამ კანონის ასრულება ევალებოდა და ევალება. კანონი იწერება ასასრულებლათ და თუ რაიმე მიზეზით მისი ასრულება შეუძლებელი ხდება, საჭიროა ეს გამოირკვეს და თანახმად ამისა ბრძოლის წესიც შეიცვალოს.

ეს ბრძოლა კი დღიურ წეს-რიგში უნდა დაისვას და სპეკულიანტების ალვირ წახნილობას საზღვარი დაედოს. შეუწყნარებელია, რომ მთელი რესპუბლიკა რამდენიმე ასეული პირის საჯიჯგნათ ვაქციოთ. განი.

## კომუნისტების საქმიანობა

კარლ კაუცკისა.

რედაქციისაგან:

1919 წელს გამოვიდა მარქსიზმის ცნობილი თეორეტიკოსის კარლ კაუცკის წიგნი „ტერორიზმი და კომუნიზმი“.

ამ შრომაში კაუცკი არჩევს ბოლშევიკების პოლიტიკას და ტაქტიკას ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით და ადარებს მას იაკობინელების მოღვაწეობას და პარიზის 1871 წ. კომუნას.

წიგნის პირველი ნაწილი შეიცავს ისტორიულ მიმოხილვას და გზა-გზა კრიტიკულათ არჩევს საფრანგეთის დიდი რევოლიუციის კომუნას. უკანასკნელი მერვე თავი—„კომუნისტების საქმიანობა“—კი სავსებით და ერთავად არის ბოლშევიზმის კრიტიკა.

სანამ ამ საინტერესო წიგნს გამოვცემდეთ ქართულ ენაზე, საჭიროდ დავინახეთ გავაცნოთ ჩვენ მკითხველებს უკანასკნელი მერვე თავი, რომელიც ეხება, ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, —„თანამედროვე სოციალიზმის ცენტრალურ პრობლემას და სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულებას ბოლშევიკურ მეთოდებთან“.

ა) ექსპროპრიაცია და ორგანიზაცია.

მსოფლიო ომმა დასცა, ჩამოაქვეითა მუშათა კლასი როგორც ზნეობრივათ, ისე გონებრივათ. მცხოვრებთა თითქმის ყველა წრეებში ომმა გამოიწვია და გააძლიერა გაუხეშება, სიბრიყვე. მუშათა მოძრაობის ავანსცენაზე მან გამოიყვანა პროლეტარიატის ნაკლებათ განვითარებული ნაწილი და, დაბოლოს, გააუარესა რა მისი ისედაც გაჭირვებული მდგომარეობა, განავითარა მასში უიმედობა და ასე ჩაუხშო უნარი მშვიდათ აზროვნებისა.

ომმა ხელი შეუწყო პროლეტარიატში პრიმიტიული შეხედულება-აზროვნების განვითარებას და განმტკიცებას. ომმა აგრეთვე დიდათ გაალრმავა მილიტარისტული აზროვნება, რაიც ისედაც ადვილი შესათვისებელია ზერელეთ მოაზროვნე ადამიანებისათვის. ამგვარი აზროვნების თანახმად გადამჭრელ ფაქტორათ მსოფლიო ისტორიაში გამოდგება უხეში ძალა, თითქოს საკმაო იყოს მხოლოდ ძალა და გამბედაობა იმისთვის, რომ განახორციელო რასაც კი მოისურვებ.

მარქსი და ენგელსი მუდამ ებრძოდენ ამგვარ შეხედულებას. ენგელსის კლასიკურ წიგნის—„გადატრიალება მეცნიერებაში, მოხდენილი დიურინგის მიერ *)“. სამს თავში საგანგებოთაა გარჩეული „ძალადობის თეორია“ (მესამე გამოცემა გვ. 162—192). ამ თეორიას არავითარი საერთო არა აქვს მარქსიზმთან. ენგელსმა უშიშრათ გაილაშქრა მის წინააღმდეგ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს თეორია რევოლიუციონური პირობადით გამოვიდა.

ის მაშინ არ ედგა ისეთ აზრს, რომელიც ახლა მეტად არის გავრცელებული და შეიცავს იმ დებულებას, თითქოს მისი ლიდები არ იყოს პროლეტარული მოძრაობის რევოლიუციონური შეცდომების გამოაშკარავება, ვინაიდან ეს შეასუსტებდა რევოლიუციონურ სულსო.

თავის თავად იგულისხმება, რომ რევოლიუციის ხანაში არ შეიძლება მეტათ მკაცრათ გაკიცხო ყველა შეცდომები და სისულელეები. რევოლიუცია,—ეს ყველაზე მძიმე მდგომარეობაა ისტორიაში. რევოლიუციის დროს თვალწინ იშლება სრულიად ახალი და გაუთვალისწინებელი მოვლენები.

საზიზღარი ფარისევლობა იქნებოდა, რომ მშვიდობიან ადგილას მყოფ მეთვალყურეს განეზრახა სასტიკი განაჩენის გამოტანა შორიდან ან უკანა რიცხვით იმ შეცდომების გამო, რაც ხალხს მოსდით ცხარე ბრძოლის დროს, როცა იგი თავის კისრით ზიდავს ამ ბრძოლის მთელ სიმძიმეს და საშიშროებას.

მაგრამ ამასთანავე აუცილებელია ისეთი შეცდომების გაკიცხვა, რომლებიც გამომდინარეობენ არა შემთხვევითი შემცდარი ან საჭირო ცოდნის უქონლობის გამო, არამედ—როცა შეცდომა შედეგია მსოფლმხედველობის, რომელსაც, მაშასადამე, მივყავართ ამ გარდაუვალ მარცხამდე. ამგვარი შეცდომები მხოლოდ მაშინ შეიძლება აცილებულ იქნან, უკეთუ დაძლეული იქნება შემცდარი მსოფლმხედველობა.

ამ შეცდომათა უყურადღებოთ, უკრიტიკოთ დატოვება, ან რევოლიუციის ინტერესების შეუცნებლობის გამო მათი შელამაზება—შექება—ეს ნიშანი იქნებოდა იმისი, რომ ყოველგვარი რევოლიუციონური მოძრაობა საშიშროების წინაშე დაეყენებია მომავალში.

„იულკანისებურ რევოლიუციონურ ტემპერამენტს“ არას დროს არ შეუჩერებია მარქსი და ენგელსი რევოლიუციის ასეთი კრიტიკის წინაშე.

ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტი: 1873 წლის შემოდგომაზე ენგელსმა ლეიპციგის გაზეთ „ფოლკსტაატ“-ში კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ის აჯანყება, რომელმაც ამავე წლის ივლისის 5-ს ისპანიაში იფეთქა, რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ. ზოგიერთ ოლქების გარდა, აჯანყება ჩაქრობილ იქნა, 20 ივლისს. აჯანყებული კარტახენა გამაგრებული იყო 1874 წლის იანვრამდე.

ამრიგათ აჯანყება ჯერ კიდევ არ იყო სავსებით ჩაქრობილი, რომ ენგელსმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა „მთელი ეს ავანტიურისტული ამბოხება... რაიც გამაფრთხილებელი მაგალითი იყო დანარჩენი ქვეყნიერებისათვის“.

ეს აზრი ენგელსმა გაატარა მთელ რიგ წერილებში, რომლებიც დაიბეჭდა სათაურით—„ბაკუნისტების საქმიანობა“ („ფოლკსშტატი“ ოქტომბრის 5-ს, ნოემბრის 2 და 3-ს.), რაც 1894 წ. ფრ. ენგელსმა გადმობეჭდა ცალკე წიგნათ—„ინტერნაციონალეს აუს დემ ფოლკსშტატ.“ ბერლინი, გამომცემლობა „ფორ-

*) ეს წიგნი რუსულ ენაზე ცნობილია „ანტი-დიურინგის“ სახელწოდებით. რედ.

...ფორტსის“) ჩვენ ვურჩევთ ყველა იმათ, ვისაც კი აინტერესებს ბოლშევიზმი, შეისწავლონ ეს შრომა.

ეს შრომა ბევრის მხრით არის წინასწარმეტყველური, ვინაიდან ისპანიის მაშინდელი რევოლიუცია, ბევრში ჰგავს ახლანდელ კომუნისტთა მდგომარეობას.

ენგელსი იწყებს იმის აღნიშვნით, რომ ისპანიის ინტერნაციონალისტების უმრავლესობა ბაკუნისტის „ალიანსს“ ეკუთვნოდა და განაგრძობს: „როცა 1873 წლის თებერვალში გამოცხადებულ იქნა რესპუბლიკა, ისპანიის „ალიანსისტები“ საძნელო მდგომარეობაში ჩავარდნენ. ისპანია იმდენათ ჩამორჩენილი ქვეყანაა მრეწველობის მხრით, რომ დაუყოვნებლივ მუშათა კლასის სავსებით განთავისუფლებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ვიდრე ამას განახორციელებდეს ისპანია, მან უნდა გაიაროს წინასწარ განვითარების მთელი რიგი საფეხურები და გადალახოს აურიცხელი დაბრკოლებანი. რესპუბლიკა იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ განვლილი ყოფილიყო ეს საფეხურები მცირე ხნის განმავლობაში და რაც შეიძლება დაჩქარებით აეცილებიათ ეს დაბრკოლებანი. მაგრამ ამ შესაძლებლობის მოხმარება მხოლოდ მაშინ მოხდებოდა, უკეთუ ისპანიის მუშათა კლასი აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა პოლიტიკურ ცხოვრებაში (გვ. 17—18).

ეს კი ნიშნავდა დანიშნულებული კრების არჩევნებში და მის მუშაობაში მონაწილეობის მიღებას. ბაკუნისტები კი, მიისწრაფოდნენ მუშათა კლასის დაუყოვნებლივ და სრულ განთავისუფლებისაკენ.

მაგრამ ისპანიის მაშინდელი მდგომარეობის გამო საპარლამენტო მუშაობის მომხრე დემოკრატია, როგორც საშუალება ამ მიზნის განსახორციელებლად, სრულიად უვარგისი იყო, თუმცა მისი მაგიერობის გაწევა არავის შეეძლოთ, რადგან იგი იყო ერთად ერთი საშუალება პროლეტარიატის განსავითარებლად და მისი შეგნების ასამაღლებლად. მონაწილეობა კი რომელსამე არჩევნებში, ბაკუნისტებს საშინელ დანაშაულობათ ჰქონდათ წარმოდგენილი.

რით შეცვალეს მათ საარჩევნო ბრძოლის შეცვლა? მუშათა დეპუტატების საბჭო, როგორც საშუალება „მუშათა კლასის დაუყოვნებლივ და სავსებით განთავისუფლებისა“, მაშინ გამოგონებული არ იყო. ბაკუნისტებმა გამოაცხადეს გენერალური გაფიცვა, დაანაწილეს ისპანია ათასცხრა პატარა „კანტონებათ“, დაქ აქვსა საერთო მოძრაობა მთელ რიგ ადგილობრივ ხა იმათის მოძრაობით და ქვეყანას აუწყეს, რომ „პერმანენტული (შეუჩერებელი) რევოლიუცია“ სწარმოებსო.

ამან მიგვიყვანა არა თუ მოძრაობის დამარცხებამდე და მთელი ისპანიის ინტერნაციონალის განადგურებამდე არამედ—„მიგვიყვანა იმ პრინციპების უარყოფამდის, რომლებიც ბაკუნისტებმავე წამოაყენეს და ამ ხნობამდის ქადაგებდენ.“ (გვ. 32) გარემოებამ იძულებულ ნი გახადა ბაკუნისტები თანდათან დაეტოვებინათ თავიანთი პრინციპები.

განა ამ ვითარებაში არ იმყოფება რუსეთი?

ეჭვს გარეშეა, როცა იფეთქა რუსეთში ეხლანდელმა რევოლიუციამ, რუსეთის მუშებში გაბატონებული, ტონის მიმცემი იყო მარქსიზმი და არა ანარქიზმი. როგორც სოციალისტურ თეორიას, მარქსიზმს არსად არ ჰქონია ისეთი საყოველთაო გასავალი, როგორც რუსეთში.

მთელი ათეული წლების განმავლობაში რუსი სოციალისტები „აჰქარვებისაგან სათნოებას ქმნიდენ“. თავისი ქვეყნის აგრარულ ჩამორჩენილობაში ისინი უპირატესობას ხედავდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ რუსული თემური კომუნიზმის ნაშთები გაადვილებდა თანამედროვე სოციალიზმის დამყარებას რუსეთში.

ამგვარ შეხედულობის წინაამდეგ რუსეთში მარქსისტები გამოდიოდნენ აქსელროდის და პლეხანოვის მეთაურობით. მათ შეიგნეს, რომ რუსის პროლეტარიატის და საერთოდ რუსი საზოგადოების საკმაო განუვითარებლობის გამო მომავალი, აუცილებელი რევოლიუცია, თავდაპირველად იქნება ბურჟუაზიული შინაარსისა თუმცა პროლეტარიატის მოწოდება—ამ რევოლიუციაში თვალსაჩინო როლი შეასრულოს. ხანგრძლივ და შეუდრეკელ ბრძოლაში მათ უზრუნველყვეს ამ შეხედულობის გამარჯვება, რაიც შეადგენს უდიდეს დამსახურებას რუს მარქსისტებისას.

ამ აზრით იყო გამსჭვალული რუსული სოციალისტური მოძრაობა, ვიდრე სოციალიზმის გასატარებლად გამოდიოდნენ ინტელიგენტები და მუშათა კლასის რჩეული, განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ნაწილები, სანამ პროლეტარიატმა ხელთ არ აიღო ძალაუფლება. ამან კი, დღის წესრიგში დააყენა საკითხი პროლეტარიატის დაუყოვნებლივ განთავისუფლებისა.

ჭეშმარიტი მარქსიზმი წარმოუდგენელ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა, როცა რევოლიუციამ აამოძრავა რუსი ხალხის ფართო მასსა, რომელიც მხოლოდ საკუთარ გასაჭირს იცნობდა, საკუთარ ნება-სურვილს უგდებდა ყურს. ეს მასსა არ კითხულობდა იმას, განსახორციელებელი და ხელსაყრელია თუ არა, არსებულ პირობებში საზოგადო ინტერესების თვალსაზრისით ის, რასაც ის მოითხოვდა.

ამ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს გამაგრება მარქსისტულ ნიადაგზე. ისინი შეიპყრო მასსის ტრიალმა, რამაც სავსებით გაიტაცა. ეჭვს გარეშეა, რომ ამის წყალობით ისინი გახდნენ რუსეთის მბრძანებელნი. სულ სხვა საკითხია, თუ რა გამოვა ან რა უნდა გამოვიდეს ასეთი მდგომარეობიდან.

გახადეს რა რევოლიუციის მამოძრავებელ ღერძათ მხოლოდ მასსის ნება-სურვილი, ბოლშევიკები გამოემშვიდობნენ მარქსისტულ აზროვნებას, რის გასამართლებლადაც მათ წინათ იმდენი ძალღონე დახარჯეს.

თავიანთი მეცნიერულის სინდისის დასამშვიდებლათ მათ ისარგებლეს მარქსის პოპულიარობით, და ხმარებაში შემოიღეს მარქსის ერთი სიტყვა — „პროლეტარიატის დიქტატურა“. ამ სიტყვის შემწეობით ისინი ფიქრობდნენ გამოესყიდათ თავიანთი ცოდვები, რომელიც მარქსიზმის წინააღმდეგ ჩაიდინეს.

რევოლიუცია ომის შედეგი იყო. ჯარისკაცები დაიქანცნენ და ბრძოლა აღარ სურდათ. ბოლშევიკებმა გადაჭრით გაილაშქრეს ომის გაგრძელების წინააღმდეგ. ისინი ყოველგვარი საშუალებებით ხელს უწყობდნენ ჯარის დაშლას და იმაზე კი არ ფიქრობდნენ, რომ ამით ისინი დახმარებას უწევდნენ გერმანიის სამხედრო ავტოკრატიას. თუ ეს უკანასკნელი დამარცხდა და თუ ამის გამო გერმანიის რევოლიუციამ იფეთქა, ეს, ყოველ შემთხვევაში, ბოლშევიკების მოქმედების ნაყოფი არ არის.

ჯარის სავსებით დაშლა სრულ თავისუფლებას აძლევდა დაბალ კლასებს. მაშინ გლეხებმა მოითხოვეს მსხვილი მამულების დაუყოვნებლივ დანაწილება და ერთმანეთში დაყოფა კერძო საკუთრებით. გლეხების ხელში გადასვლა მსხვილი მამულებისა აუცილებელი იყო. ამის სისტემატიურათ განხორციელება შეიძლებელი იყო მსხვილ მამულთა ტეხნიკურ უპირატესობათა ზარალის მიუყენებლათ. ამისთვის კი საჭირო იყო დრო, გლეხები არ ითმენდნენ. ბოლშევიკებმა გლეხების გული მოინადირეს. მათ ჩაუყარეს სოფლად ანარქიას მკვიდრი საფუძველი, როცა თითოეულ სოფელს მიანიჭეს თავისუფლად მოქმედების უფლება. ასეთი წესის წყალობით მამულების დანაწილება ხდებოდა სრულიად პირველყოფილი ფორმებით, რომელსაც თან ახლდა კულტურული მეურნეობის გაჩანაგება და საწარმოო ძალთა დიდი ნაწილის განადგურება. ამის სანაცვლოდ გლეხებმა ბოლშევიკებს მიანიჭეს სრული თავისუფლება მოქმედებისა ქალაქში. ქალაქში კი ბოლშევიკებმა მუშათა მასსა მიიმხრეს იმავე ხერხით: ბოლშევიზმი ანგარიშს უწევდა მხოლოდ მუშების ნება-სურვილებს, არ აქცევდა არავითარ ყურადღებას რეალურ პირობებს.

პროლეტარიატი შიმშილობდა, დამონებულათ, გაყვლეფილათ გრძნობდა თავს და მოითხოვდა კაპიტალისტური უღლის დაუყოვნებლივ გადაგდებას. ამ მოთხოვნის საჩქაროდ დაკმაყოფილება არ იძლეოდა არა თუ მის შესწავლის, არამედ—უბრალო მოფიქრების დროსაც კი.

და რუსეთის კაპიტალიზმის შენობა რამდენიმე ულმობელი შემოკვრისაგან ნანგრევებად იქცა.

(შემდეგი იქნება).

# დეპეშები

საქართველოს ტელეგრაფო სააგენტოსი

23 იანვარი.

## ფრანგული პრესის ცნობები

1920 წლის 10 იანვრიდან პრუსიის ყოფილი ოლქები მალმედი და ეიპენი, რომლებიც ერთ დროს ძალით შეიერთა პრუსიის სამეფომ, ბელგიის სრულ სუვერენიტეტში გადავიდა.

ბელგრადის გაზეთი „დემოკრატია“ სწერს: „დიშანელი მაღალი სულის მატარებელი პიროვნებაა. იგი მეცნიერი პოლიტიკოსია და დიდებანია რაც იგი ჩვენი ხალხის გულწრფელი მეგობარია“.

საშაბათს მოხდა მილიერანის კაბინეტის პირველი სხდომა. ახსნილობა ქონდათ მინისტრთა დეკლარაციის ტექსტის შესახებ.

ქალაქის თვითმართველობაში მიიღეს ელზას-ლორენის წარმომადგენლები მილერან, დიშანელი, მარშალი ფოში და პეტენი.

პარიზის ცნობების მიხედვით იტალიის რკინის გზელთა გაფიცვას თითქმის საერთო ხასიათი მიუღია. ჯერ ჯერობით არც ერთი სერიოზული ინციდენტი არ მომხდარა. მილანსა, ტურინსა და პიზაში ზოგი პირი დაპატიმრეს.

სრული გაფიცვაა ვენტიმილსა და პიაჩენცაში. რომლიდან, სადაც გაფიცვას ვიწრო ხასიათი აქვს, მატარებლები ნორმალურათ გადის.

ინდო-ჩინეთის ახალი გენერალ გუბერნატორი მორის ლონგი ოთხშაბათს პარიზიდან გავიდა.

ბელგიის მეფე, რომელიც ინკოგნიტოთ პარიზში ჩამოვიდა ოთხშაბათს ელიზეში რესპუბლიკის პრეზიდენტს და მას დიდხანს ესაუბრა.

## ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. იანვრის 22. სამხედრო ცნობები. რიგის რაიონში ცხარე ბრძოლა გრძელდება. მოზირის რაიონში სადგურ პტიჩის აღმოსავლეთით რკინის გზასთან ჩვენთვის სასარგებლო ბრძოლებია. ბერდიჩევის და ჩუდნოვის მიმართულებით ჩვენი ნაწილები იბრძვიან ბერდიჩევიდან ჩრდილოეთ დასავლეთით 50 ვერსზე მდებარე დაბა ჩუდნოვთან. ელიზავეტგრადის რაიონში მტერი, რომელიც ნოვომირგოროდის წარამდევს სცდილობდა, უკუ ვაგდეთ ამ ქალაქის სამხრეთისაკენ. პერეკოპის რაიონში ჩვენი წინმავალი ნაწილები პერეკოპიდან ჩრდილოეთით 10 ვერსის დაშორებით იბრძვიან. გენიჩესკის რაიონში ჩვენ უკუ ვაგდეთ მტრის კონტრ შემოტევა გენიჩესკის დასავლეთით თხუთმეტ ვერსზე. ველიკოკნიაჟესკის მიმართულებით ჩვენი წინმავალი ნაწილები მტერს აგრძელებენ მოლოდნაიას ხაზის სამხრეთით. ცარიცინ — ტიხორეცკაიას რკინის გზის რაიონში გადავლახეთ ილოვაისკის ხაზზე, ოლგინსკიდან სამხრეთით 30 ვერსზე და დავიჭირეთ ზიმოვნიკისა და ტორგოვსკის სადგურები. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა დაიჭირა კოროვკოვის ხაზი, რომელიც ბელუნსკისა და ველიკოვსკის სამხრეთ დასავლეთ 20 ვერსზე იმყოფება. კიზლიარის რაიონში მოწინააღმდეგეს უნდოდა ტერემოვის აღება, მაგრამ უკუგდებულ იქმა და დიდი წინი მიაყენეთ.

მოსკოვი, იან. 22 გუშინ შესრულდა სამგლოვიარო წელი 15 წლის წინათ მეფის მთავრობის მიერ დახვრეტილ მუშებისა 15 წლის წინათ პეტერბურგის ქუჩებზე მეფის ტყვიისმფრქვეველთა ხმა გაისმოდა, უანგარიშოდ ჟლეტდა იგი პროლეტარებს სატახტო ქალაქის ქუჩებში, ეხლა ჩვენ მათი დახვრეტისათვის სამაგიეროს ვუხდით მტერს ჩვენის გამარჯვებით. მათი დაღუპვისათვის ჩვენ ეხლა შურს ვიძიებთ რევოლიუციონური შრომით. დიდება განსვენებულთ. ცოცხლებო წინ გავსწიოთ.

მოსკოვი იან. 23. სავნარკომის სრულიად უკრაინის რევკომთან შეთანხმებით სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რაიონში იქმნება უკრაინის საბჭოთა შრომელი არმიაა. ამ საბჭოს მიზანს შეადგენს სურსათ სანოვაგისა და ნედლი მასალის შეძენისათვის გაძლიერებული შრომა. სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში შრომის დისციპლინის შექმნა და ამავე დაწესებულებისათვის მუშა ხელის მიწოდება. საბჭოს განკარგულებაში გადადის სამხედრო და სათადარიგო ნაწილები.

ხარკოვი. იან. 19. გალიციის ჯარები საბჭოთა მთავრობის მხარეზე გადავიდა საერთო მტრის პოლონეთის პანების წინააღმდეგ საბრძოლველად.

რომი, იან. 21. დღეს რკინის გზელებმა საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. სადგურებს ჯარები იცავს.

ვიტებსკი, იან. 19. პოლონური გაზეთების ცნობით ტიროლში (შვეიცარიაში) სურსათ-სანოვაგის უქონლობაში მდგომარეობამ გამოიწვია გამოსვლები ქუჩაში. ჯარებმა ხალხი ხიშტების საშუალებით დაშალეს.

ბერლინი, იან. 20. კელნში უმუშევრებს უნდოდათ ქალაქის თვითმართველობის შენობა დაეპყრათ. პოლიციამ ხალხს ესროლა, დაჭრილია მრავალი.

ლიონი, იან. 19. ავსტრიის მთავრობამ მიჰმართა ამერიკელ მილიონერებს ფულით დახმარებისათვის. მთავრობა მილიონერებს უკირავებს სასახლეებს, ცხენ-დარბაზებს, მუზეუმებს და ერთი სიტყვით, სახელმწიფოს მთელ ავლადიდებას.

ნაუენი, იან. 18. პოლონელებს მიერ ქალ. ორგენიუს დაჭერის დროს გერმანიისა და პოლონეთის ჯარებს შორის შეტაკება მოხდა.

პარიზი, იან. 19. ინგლისელ მუშების წინამძღოლმა გენდერსონმა პარიზის გაზეთებში შემდეგი განაცხადა: „თუ ინგლისის მთავრობა არ დასთანხმდება საბჭოთა რუსეთის საზავო წინადადებათა აღიარებლობაში მიღებაზე და ინგლისს ომში ჩაითრევს, იმ შემთხვევაში მუშათა პარტია უარს განაცხადებს სამხედრო პოლიტიკურ ვალდებულებათა ასრულებაზე.

პარიზი, იან. 18. რეიტერის სააგენტოს მიერ 10 იან. მიღებულ ცნობით დამასკში აჯანყება ყოფილა.

კიევი, იან. 17. ვარშავაში ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვამ იფეთქა, მათ შეუერთდნენ ქარხნის მუშები. მოელიან საყოველთაო გაფიცვას.

# სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარება

სომხეთის დიპლომატიური მისიისაგან.

23 იანვარს, დილის ათ საათზე, ბრიტანეთის მთავარმა კომისარმა ამიერკავკასიაში ბ-ნმა უორდროპმა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორდ კერზონისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო:

„ამ დღეს უმაღლესმა საბჭომ პარიზში გადაწყვიტა, რომ სომხეთის მთავრობა ცნობილ უნდა იქნას, როგორც მთავრობა „დე-ფაქტო“; მაგრამ ეს გადაწყვეტილება არას შემთხვევაში არ შეეხება საზღვრების საბოლოოდ გამორკვევას. ის შეეხება მხოლოდ სომხეთის სახელმწიფოს იმ სახით, როგორადაც იგი ახლა არსებობს სატახტო ქალაქ ერევნით და სავსებით აშკარა უნდა იყოს, რომ ეს ცნობა სრულიადაც არ შეეხება ოსმალეთის სომხეთს“.

# ახალი ამბები

ორშაბათს, საღამოს 6 ს. ცენტრ. კომიტეტის ბინაზე შესდგება საქ. ს. დ. მ. პ. საკონტროლო კომისიის სხდომა.

◆ ცეცხლი. გუშინ, დილის 8 საათ. ცეცხლი გაჩნდა სამინისტროების ბინას (ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობაში) ცეცხლი გაჩნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სადგომის ბუხარში ქვარტალიდან. ზედა სართულიდან ცეცხლი 20—25 წუთის განმავლობაში გადავიდა ქვედა სართულში, სადაც მოთავსებულია მიწათ მოქმედების სამინისტრო. შენიშნეს თუ არა ცეცხლი, აცნობეს მილიციის უფროსს, რომელიც დაუყოვნებლივ მოვიდა. შენობას ალყა შემოარტყეს ჯარისკაცებმა და გვარდიელებმა. სასწრაფოთ გამოწვეულ იქნა ცეცხლის მქრობელი რაზმი. მოვიდნენ სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარე ვ. ჯუღელი და შტაბის ზოგიერთი წევრები. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა გვარდიელების და ჯარისკაცების დახმარებით ცეცხლი დილის ათ საათზე ჩააქრეს. საქმეები არ დამწვარა. დაიწვა სახურავის ნაწილი, შენობის ზოგიერთი ოთახების ჭერი და სხვ. ზარალი გამორკვეული არ არის. სამინისტროებში მუშაობა არ შეწყვეტილა.

◆ განათლების სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა მოხსენება, სახალხო სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლათ ექვს თვიან კურსების დაარსების შესახებ. განზრახულია კურსები გაიხსნას 1 თებერვლიდან. ამ საქმისათვის განათლების სამინისტროს ვარაუდით საჭიროა 240,000 მანეთი.

◆ ახლო მომავალში შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგება საერობო დაწესებულებათა და საქალაქო მილიციის დებულების შედგენას.

◆ სახელმწიფო თეატრში. დღეს, მუშებისათვის ოპერა „ფრა დიავოლო“.

◆ ბორჩალოს მაზრის მოსამართლენი. ბორჩალოს სამაზრო ერობამ, ამავე მაზრის მომრიგებელ მოსამართლეებად აირჩია და სენატმა დაამტკიცა ნ. ელიოზიშვილი, ან. ხუციშვილი, პ. აკოფაშვილი ტერ-ოსიპოვი და დალაქიშვილი. ამას და მიხედვით მაზრა დაიყო 5 სამომრიგებლო უბნად. სარვანის, შულავერის, ეკატერინენფელდის, ბაშკიჩეტის და წალკისის.

◆ საგანგებო თათბირზე იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით გამოირკვა, რომ ახალციხე-ახალქალაქის და რაჭა-ლეჩხუმის მაზრებს ესაჭიროება ამ ჟამათ 13 მომრიგებელი მოსამართლე და ახალციხე-ახალქალაქის მაზრას და სოხუმის ოლქს 6 სასამართლოს გამომძიებელი, აღნიშნულ თანამდებობათა პირთ დაენიშნებათ ჯამაგირი არა ნაკლებ 5000 მანეთისა და მიეცემათ განსაკუთრებული საგზაო დახმარება. მსურველთ შეუძლიანთ დაუყოვნებლივ შემოიტანონ თხოვნები იუსტიციის სამინისტროში ან მიმართონ სათანადო ერობებს.

◆ ლექცია. 24 იანვარს, საღამოს 7 ს. თეატრ „სახალხო გვარდიელის“ დარბაზში წაიკითხავს ლექციას დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. გრიგოლ გიორგაძე შემდეგ თემაზე: „საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველოს დამოუკიდებლობა“.

◆ საქ. ტეხნიკური საზოგადოების საზოგადო კრება. დღეს, 24 იანვარს, ფრეილინის ქ. № 11, საღ. 7 ს., შესდგება ტეხნიკური საზოგადოების საზოგადო კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებენ: ინჟ. მ. ყაუხჩიშვილი „საზღვარ გარეთული შთაბეჭდილებანი“ და ინჟ ვ. კაკაბაძე „საჭირო ტეხნიკური საქმიანობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებასთან კავშირში“.

◆ ახალგაზრდა მარქსისტთა სასარგებლოთ დღეს, არსენალის თეატრში გაიმართება საღამო.

## კრებები.

დღეს საღამოს 6 ს. მეორე რაიონის კოლექტივის ბინაზე დანიშნულია ს. ს. დ. ქალთა ორგანიზაციების მორიგი სხდომა.

— კვირას, იანვრის 25-ს შუადღის 12 ს. შესდგება საქართველოს რესპუბლიკის ქალთა კავშირის მთავარი კომიტეტის სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 ს. მუშათა კოოპერატივ ელორძინების ბინაზე, მუშათა სასახლეში შესდგება გაგრძელება „ელორძინების“ რწმუნებულთა კრებისა.

— დღეს, საღამოს 6 ს., ცენტრალური კომიტეტის ბინაზე დანიშნულია საქ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის საცენტროლო კომისიის სხდომა.

— დღეს, საღამოს 5 ს. დანიშნულია საქ. პროფ. კავშ. აღმასრულებელ კომიტეტის არა ჩვეულებრივი სხდომა.

— კვირას, 25 იანვარს დილის 11 ს. სტუდენტთა სასადილოში დანიშნულია ქართველ სტუდენტთა საგანგებო საერთო კრება.

— კვირას, დილის 10 ს. სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-დემ ფრაქციის ბიურო თავმჯდომარე იწვევს ბიუროს ყველა წევრების და სტუდენტთა გამგეობის სოც.-დემ. წევრების კრებას.

# დამოუკიდებლობის აღიარების გამო

საჩხერე. 13 იანვარს, საჩხერის დემოკრატია არასოდეს არ დაივიწყებს. ის აღფრთოვანება, სიხარული და აღტაცება, რაც იმ დღეს განვიცადეთ საჩხერელებმა, ყოველთვის სასიქადულო მოსაგონრად დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

დილის 9 საათია, ბაზრის ქუჩაზე, წითელ დროშის გარშემო ხალხი იყრის თავს, გროვდება მომღერალთა გუნდი ახალგაზრდებისა და, აი, გაშლილი წითელი დროშით დაიძრა ხალხი სადგურისაკენ. გზადაგზა ხალხი ემატება და მთელი მასსა ერთად გუგუნებს: „მოგვილოცავს, მოგვილოცავს სამშობლოს დამოუკიდებლობა! გაუმარჯოს საქართველოს“!

10 საათ ნახევარია,—მარსელიოზისა და ეროვნული მარდრული სიმღერების გუგუნით ხალხი მწყობრად გამწკრივდა სადგურის წინა ნაწილზე... ხალხი ეგებება ქუთაისიდან მომავალ მატარებელს, რომლითაც გვეწვია ამხანაგი ანთელიძე, რომელმაც საგულისხმიერო სიტყვა წარმოსთქვა მომენტის შესახებ, სიტყვა მქუხარე ტაშმა და გაუმარჯოს გრიალმა დაფარა, რის შემდეგ ამხ. ანთელიძე გაემართა ჭიათურისკენ, ხალხი კი გაეშურა ისევ ზევით,—ბაზრისკენ, სადაც შეიკრებენ მოედანზე,—მანიფესტანტები შეჩერდნენ, აქ ამხანაგებმა დიანოზ აბრამიშვილმა და ფილიპე ჩიკვილაძემ წარმოსთქვეს სიტყვები. სიტყვების შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში. ცეკვაშიდენ მოხუცებულებიც. X.

ზემო-თავ ხურები (გური) 14 იანვარს, გათენებისას ასტყდა ზარის რეკა, ხალხი ჩვეული იყო ახალ წლს წირვა-ლოცვას, მაგრამ დამიანდა რომ წირვა არ დაიწყებოდა, ესეც იცოდენ. ხალხი ყველა კუთხიდან ცენტრისაკენ გაეშურა, არავინ იცოდა რაში იყო საქმე. აგერ შიკრიკიც მოდის, ხმა მაღლა ყვირის, დღეს მიტინგია, საქართველოს დამოუკიდებლობა უცვნიათო. მიუხედავათ იმისა, რომ თოვლიანი დღე იყო და კიდევაც წვიმდა, ორ საათზე ხალხმა თავი მოიყარა ზემო-თავ-ხურების 2 კლ. სკოლის დარბაზში, სადაც ყველა მსურველთა დატევა არ შეიძლებოდა უადგილობის გამო. მიტინგს დაესწრო 2000-ზე მეტი ქალი და კაცი. კრება გაიხსნა 3 ნახევარ საათზე. მისასალმებელი სიტყვებით კრებას მიესალმა მაკარი კიკვაძე, ილაპარაკეს: კაპიტონ ტრაპაიძემ, აკაკი სანიკიძემ, პ. ლ—მა, ქ. ე—მა, და სხვებმა. ყველა ორატორებმა მოკლეთ გაურკვიეს დამსწრე საზოგადოებას საქართ. და ადერ. დამოუკიდებლობის მნიშვნელობა, გაარკვიეს და გააცნეს დამსწრე საზოგადოების წინაშე, ჩვენი მთავრობის მუშაობა და მიუთითეს მათი მუშაობის ნაყოფზე. მიტინგი ნასიამოვნები დარჩა. ქ. ე.

ხოფ მარტყოფი (თფილისის მაზრა) 14 იანვარს მოგვივიდა საქართველოს ბედნიერების ამბავი. ადგილობრივ თემის გამგეობამ მაშინავე აცნობა ეს ამბავი სახალხო გვარდიის შტაბს და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის ბიუროს. შემუშავებულ იქნა დღესასწაულის წესრიგი. 15-ს დილიდანვე დაიწყო ხალხმა შეგროვება და შუადღისათვის სობოროს დიდი გალავანი გაივსო. გვარდია და ს.-დ. ბიუროს წევრნი მოვიდნენ დროშებით; ადგილობრივ სკოლების მოწაფეები მწყობრათ თავიანთი მასწავლებლებით შეუერთდენ პროცესიას.

ეკლესიებში განუწყვეტლივ ზარებს რეკდენ და აცნობებდენ მცხოვრებლებს საქართველოს ზეიმის ამბავს. გადახდილ იქნა სამადლობელი პარაკლისი. აქედან მთელი პროცესია სიმღერით მწყობრად წავიდა სამების ეკლესიის გალავანში, სადაც დასაფლავებულნი არიან ფრონტზე დახოცილნი. გზა და გზა მრავალი ხალხი უერთდებოდა პროცესიას და ვაშას და გაუმარჯოს საქართველოს ძახილით უხვდებოდა. გზა გაივსო ხალხით და [illegible] ერთ ვერსზე გაიჭიმა.

გმირების საფლავებზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი. განსვენებულების საფლავებზე შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს თფილისის გიმნაზიის მოწაფემ ი. გაბუნიამ, გ. ფურცელაძემ და მღვდელმა ი. თუშმალიშვილმა. პატარა ბავშვმა ქეტევან ფურცელაძემ საუცხოვოთ წაიკითხა გვარდიელებისადმი მიძღვნილი ლექსი.

გვარდიელებმა მწყობრად თოფების სროლით პატივი სცეს მიცვალებულ გმირების ხსოვნას და შემდეგ ისევ გაემგზავრა სობოროსავე გალავანში. მთელი გზა სიმღერით და ვაშას ძახილით მიდიოდა ეს დიდებული პროცესია. გზა და გზა მანდილოსნები თავიანთი სახლებიდან დარის და გვირგვინების დაყრით ეგებებოდენ.

საღამოს ხუთ საათზე ხალხი დაიშალა. აქაური.

# ფოსტა-ტელეგრაფში

პროტესტი.

„სახალხო საქმის“ № 370, „ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრებიდან“ წერილია მოთავსებული, რომელშიაც უცნობი ავტორი ბ-ნი X აცხადებს, ვითომ მოსამსახურეების კავშირის წინააღმდეგ გამოტანილ უნდობლობის აქტზე, ხელი მოეწერეთ მოსამსახურეებს, კანტორის უფროსის თანაშემწის, ბ. ხოშტარიას ძალდატანებით. ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერლები, აღშფოთებული ვართ ასეთი ცილისწამებით და სასტიკ პროტესტს ვუცხადებთ ბ. X-ს! რათ დასჭირდა ბ. X-ს, საზოგადოების თვალში ჩვენი დამცირება და, უდანაშაულოთ, ბ. ხოშტარიასთვის ცილის დაწამება, ვერ წარმოგვიდგენია. ნუთუ ჰგონია ბ. X-ს, რომ ფოსტის მოსამსახურეებს საკუთარი აზრი არა აქვთ და კარგი და ავის გარჩევა არ შეუძლიათ? ამ სამი წლის ნგრევა—შენების ხანაში, ყველა ჩვენი აზრების მოლაპარაკობა, საკმაოთ გავიცანით ჩვენ, და, თუ ხსენებულ აქტზე ხელი მოვაწერეთ, ამასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია რომელიმე ადმინისტრაციის ძალდატანებასთან.

ბ. X-სი ლაპარაკობს უნდობლობაზე, მაგრამ გამოვიდეს და დაგვიმტკიცოს, რომ თფილისის მთავარი ფოსტის მოსამსახურენი, როდისმე მათ ნდობით შეჰყურებდენ, და გამარჯვების დაფნის გვირგვინს თავზე ადგამდენ?! ერთი მაგალითი!.. დიე, ბ. X-მა დაგვიმტკიცოს, რომ მის მიერ მფარველობის ქვეშ ალებულმა ცენტრალურმა ორგანომ, დღიდან სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლისა, არ გაიჩინა საწინააღმდეგო ფრონტი მოსამსახურეებთან, ადმინისტრაციასთან, დამფუძნებლობისა მთავრობასთან და, ცალკე გამოყოფილი დემოკრატიის სხვა ორგანოებისაგან, არ მიიჩნევა სადღაც!.. დიე, დაგვიმტკიცოს ბ. X-მა, ასეთ მიზანშეუწონელმა ბრძოლამ, დიდი ზიანი არ მიაყენა მოსამსახურეების ინტერესებს, სამსახურის უწყებაში და დიე დაგვიმტკიცოს ბ. X-მა,—შეესაბამება თუ არა, დღევანდელ ჩვენი დემოკრატიის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრების ხაზს ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს დღევანდელი ჩვენი ცენტრალური გამგეობა!? დიე, ბ. X-მა, შესძლოს დარღვევა და დამტკიცება, თუ ხსენებული აქტის რომელიმე მუხლი არ შეეფერება სინამდვილეს! ჩვენ ვუცდით და, სანამ წინაამდეგს არ დაამტკიცებს, უნდობლობას არ მოვხსნით! იცოდეს ბ. X-მა, რომ ჩვენი აქტის ყველა მუხლები, ჩვენი ცხოვრებით განცდილია, და როგორც სინამდვილე, მას არ ესაჭიროება გარეშე ძალის დახმარება! იცოდეს ბ. X-მა, რომ ფოსტის მოხელე-მოსამსახურენი, რომლებმაც ხელი მოვაწერეთ დასახელებულ აქტს, ყველა „პარტიის წევრები“ არა ვართ და „პარტიულ დადგენილებისათვის“, (როგორც თვითონ იძახის) ხელი არ მოგვიწერია!

მთავარი ფოსტაში მოსამსახურენი: ხელს აწერს 134 კაცი.

შეკითხვა:

ფოსტა-ტელ. მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობას გთხოვთ გვიპასუხოთ.

1) მართალია თუ არა, რომ თქვენ გაქვთ დადგენილება არ ასესხოთ ცენტრალური გამგეობის საამხანაგო თანხიდან ფული იმ პირთ, ვინც თქვენ უნდობლობა გამოგიცხადეთ და თქვენ საწინააღმდეგოდ საპროტესტო ბარათზე ხელი მოაწერა?

2) თუ ეს მართალია, ვინ მოგცათ თქვენ უფლება საამხანაგო ფულების ამორჩევით მარტო თქვენი ძმა ბიჭებისათვის განაწილებისა?

3) თუ ეს მართალი არ არის, იმ შემთხვევაში რა უფლების ძალით, ან ვისი სახელით გამოისტუმრა უარით და ლანძღვა საყვედურით ძალათ მაცხოვანი ხაზინადარმა ცერძენიშვილმა ის ამხანაგები, რომელთაც სრული უფლება ჰქონდათ აღნიშნულ თანხიდან ფულის სესხების?

და 4) არის თუ არა ეს ტერორი თქვენი მხრით იმ პირთადმი, რომელთაც თქვენ უნდობლობა გამოგიცხადეს და თუ არის,—რა ქვიან ასეთ თქვენს საქციელს? ელვა.

# დღეს

ფრანგული პრესის ცნობით რკინის გზელთა გაფიცვამ იტალიაში საერთო ხასიათი მიიღო.

კიელში უმუშევრებმა თვითმართველობის შენობა დაამტვრიეს.

ბოლშევიკების ცნობით გალიციის ჯარები საბჭოთა ჯარების მხარეზე გადავიდა პოლონეთის წინააღმდეგ.

პოლონელების მიერ ქალაქ არგენაუს დაჭერის დროს გერმანიის და პოლონეთის ჯარებ შორის შეტაკება მოხდა.

# უცხოეთი

რუსეთი

ყუბანის დაცვა. მოხალისეები ყუბანში უკანასკნელ ძალებს იკრებენ. ჯარის ატამანის მოადგილე სუშკოვი დღეში რამდენიმე ბრძანებას სცემს, რაც ჯარის მოწყობას ისახავს მიზნად. ჯარში გაიწვიეს ყველა მამაკაცები, ვისაც კი შეუძლია იარაღის ტარება გაიყვანეს აგრეთვე ყველა მოწაფეები. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ცხენოსანი რაზმების შექმნას. ამის შესახებ ბრძანება, სხვათა შორის, შემდეგს ამბობს: წითელებმა შექმნეს მრავალრიცხოვანი ცხენოსანი რაზმი და ეხლა ამის საშვალებით აწარმოებენ ბრძოლას. მართალია, ისინი ვერ არიან კარგი, გულადი მებრძოლები მაგრამ მოხალისეებს სჯობნიან რიცხვით. ამიტომ ატამანი მოუწოდებს ყველას, ვისაც კი შეუძლია ცხენზე ჯდომა, ჩაეწერონ ცხენოსანთა რაზმში.

მურმანზე. მოსკოვის „იზვესტიას“ ცნობით ბოლშევიკები მათგან დაპყრობილ მიზებების გამო, იძულებულნი გახდენ მოომანზე წინსვლაზე ხელი აეღოთ. საბჭოთა მთავრობა ყოველგვარ ზომებს იღებს, რათა განახლებულ იქნეს ეს წინსვლა, ვინაიდან ჩრდილოეთ რუსეთის ნავთსადგურები რუსეთს სკანდინავის სახელმწიფოებთან საეჭვო დამოკიდებულებათა დასაჭერათ.

ტროცკის გეგმები. ვარშავაში დატყვევებულ პოკროვსკოვმა, რომელმაც ყოფილ მეფის მოკვლაში მიიღო მონაწილეობა, ტროცკის გეგმების შესახებ შემდეგი განაცხადა: ტროცკი ერთადერთ ინგლისს სთვლის სერიოზულ მოწინააღმდეგეთ; ამიტომ იგი არ იქნებოდა წინააღმდეგი მასთან მოლაპარაკება დაეწყო. პოლონეთის შესახებ ტროცკის განცხადებით, რომ იგი გაილაშქრებს მის წინააღმდეგ მომავალ გაზაფხულზე. ტროცკის განცხადებით წითელ ჯარს ყოველდღე ემატება 8000 კარგად გაწვრთნილი ჩინელი; ბოლშევიკურმა აგიტაციამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო ჩინეთში, რომ ტროცკის აზრით, იქ ახლო მომავალში რევოლიუციას და საბჭოთა მთავრობის დამყარებას უნდა მოველოდეთო. „ბოლშევიკური მოძრაობა ჩინეთში,—მიუმატა ტროცკიმ—საშვალებას მოგვცემს გამოვიყენოთ ჩინური ჯარი დასავლეთ ევროპის წინააღმდეგ ბრძოლაშიო“.

საფრანგეთი.

კლემანსო რუსეთის შესახებ. საბჭოთა რუსეთის შესახებ ლუი მარტენს შეკითხვის საპასუხოთ დეპუტატთა პალატაში კლემანსომ შემდეგი განაცხადა: ჩვენ არა თუ ზავს არ შევკრავთ საბჭოთა რუსეთთან, ჩვენ მოლაპარაკებასაც კი არ დავიწყებთ მასთან. რუსეთის საკითხში ორი მხარე უნდა გავარჩიოთ: მოქმედების, სინამდვილისა და პრინციპის საკითხები. პირველ საკითხში საბჭოთა მთავრობა ყველაზე უფრო ბარბაროსულია. პრინციპის მხრივ თითქმის გამტკიცებულია ის აზრი, რომ მთავრობას შეუძლია იარსებოს ან დესპოტიზმით, ან კიდევ თავისუფლების რეჟიმით. რუსეთში არსებობს თვით არჩეულ და თვით-მოწვეულ კომიტეტის დიქტატურა, რასაც ხალხის დიქტატურათ აცხადებენ და რასაც დეპუტატთა პალატა არას დროს არ იცნობს. ჩვენ ვებრძოდით ცარიზმს. მაგრამ დღეს რუსეთი ჩვენს წინააღმდეგ გამოვიდა, იბრძვის ჩვენს წინააღმდეგ, რაც დიდ ზარჯებს მოითხოვს ჩვენგან. ჩვენ ვაწარმოებდით ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ იმ იმედით, რომ შეიქნებოდა ნაციონალური ჯგუფი, რომელიც შეძლებდა რუსეთის აღდგენას. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მეტი ხარჯი გავიღოთ. ეს არ არის ჩვენი მოვალეობა. კლემანსო აცხადებს, რომ მან იცის მხოლოდ ერთი,—ის, რომ სანამ რუსეთში ანარქია იქნება, ევროპაშიაც არ დამყარდება მშვიდობიანობა.

ადერბეიჯანი

ქართველების ნაციონალური საბჭო. ადგილობრივი ქართველების კოლონიაში ათი ათასზე მეტი წევრები ითვლებიან, რომელთაც არ შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა მომავალ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში, რადგანაც მცირე გამონაკლისის გარდა, ბაქოელი ქართველები საქართველოს ქვეშევრდომებათ ითვლებიან. არც ახლანდელ საბჭოში არიან ქართველების წარმომადგენლები. ქართულ ნაციონალურმა საბჭომ თავის მთავარ საქმიანობად დაისახა კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. ნაციონალურ საბჭოს მიერ თავისი ფუნქციების შეკვეცა ახსნება იმით, რომ ბაქოში არსებობს საქართველოს დიპლომატიური მისია, რომელიც ადერბეიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველების პოლიტიკურ ინტერესებს იცავს, ქართველთა სამოქალაქო და სავაჭრო ინტერესებს იცავს ადგილობრივი საქართველოს საკონსულო. ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულია ბაქოში მყოფი საქართველოს კონსული კ. დ. მიქელაძე. საბჭოს განზრახვა აქვს თებერვალში მოაწყოს დიდი საღამო, ანტანტის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის აღსანიშნავად.

# „ინფლუენცია“

(Influenza)

ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკის კომიტეტის ცენტრალურმა გამგეობამ დაუხვავნა თავის ხელქვეით უწყებებს შემდეგი ცნობები ინფლუენციის შესახებ:

ის ავათმყოფობა, რომელიც ცნობილია კავკასიაში ისპანკის სახელწოდებით, ამჟამად ძლიერ გავრცელებულია თფილისში და უეჭველია, ეპიდემიურ ხასიათს მიიღებს, რადგანაც ბინების სიმცირე და მჭიდროთ მოსახლეობა, ცუდი კვება და საერთოდ მატერიალური მძიმე მდგომარეობა ხელს უწყობს ეპიდემიის გავრცელებას. ეს ის ეპიდემიაა, რომელიც შარშან მთელს ევროპაში, აზიაში და ამერიკაში იყო გავრცელებული. ამ ავათმყოფობას თან მოსდევს ხშირათ ფილტვების ანთება, რამაც გასულ წელს შეერთებულ შტატებში დაახლოვებით 500,000 სული იმსხვერპლა.

იმუნიტეტი. შემჩნეულია, რომ ინფლუენციამ მოხდა არ იცის. შესაძლებელია ადამიანი რამდენჯერმე გახდეს ავათ ინფლუენციით. მამაკაცებს და ჯანსაღ ორგანიზმს უფრო ეტანება ინფლუენცია, მიზეზი ამისა არის ის, რომ ჯანსაღი ადამიანები არ ერიდებიან ავათმყოფებს და ცხოვრებასაც ისეთს ეწევიან, რომ მათ ადვილათ ეტანებათ ინფლუენცია.

როგორ ვრცელდება ინფლუენცია. ინფლუენცია გადადის ავათმყოფიდან ჯანსაღზე. მისი ბაცილები თავს იყრიან უფრო ცხვირში, ყელში და ნახველს და წვეთებს მოსდევენ. ბაცილები ადამიანის სხეულს გარეშე მალე იხოცებიან. ავათმყოფობა გადადის ერთი ადამიანიდან მეორეზე იმ საგნების საშვალებით, რომელსაც ავათმყოფი ხმარობდა. როგორც მაგალითად: ცხვირ-სახოცი, პირსახოცი, თეფშები, ჭიქები და სხვა.

წინასწარი ზომები. ინფლუენციას ისეთი ფარეში და მორიდება უნდა, როგორც სხვა გადამდებ ავათმყოფობას. პირველ ყოვლისა, საჭიროა ავადმყოფის განცალკევება ჯანმრთელობისაგან, ავადმყოფი მაშინვე უნდა დაწვეს და არ უნდა ადგეს, სანამ სიცხე არ დაუვარდება. თუ ეს წინასწარი ზომები იქნა მიღებული, მაშინ არ მოხდება გართულება ავათმყოფობისა, რაც ფილტვების ანთებაში გამოიხატება და რაც არის მიზეზი სიკვდილიანობის შემთხვევებისა.

პირადი წინასწარი ზომები. ავადმყოფობას თავიდან აცილება შეიძლება აგრეთვე პირადი წინასწარი ზომების მიღებით. ავადმყოფობის დროს უნდა ერიდოს კაცი სიარულს თეატრებში, დიდ კრებაზე, აგრეთვე იქ, სადაც ბევრი ხალხი იყრის თავს და ჰაერიც დახუთულია. დიდი ეპიდემიის დროსაც კი შესაძლებელია ადამიანმა თავიდან აიცილოს ავადმყოფობა.

ფართო საზოგადოებამ უნდა იცოდეს ის საშვალებები, რომლითაც შეიძლება ინფლუენციის თავიდან აცილება. არ უნდა იხმაროს ადამიანმა ჭურჭელი და საზოგადოთ ის საგნები, რომელიც ავათმყოფის ხელში იყო. აგრეთვე უნდა ერიდოს ადამიანი ინფლუენციით ავათმყოფის ფურთხს. საჭიროა ოთახის ვენტილიაციას მიექცეს ყურადღება, სისუფთავე უნდა იქნეს დაცული. ოთახში და ბინაზე ბევრი ხალხი არ უნდა იკრიბებოდეს.

სიმპტომები ინკუბაციონური პერიოდი ინფლუენციის დროს, არ არის ხან გრძელი—ორ-სამ დღეზე მეტს არ გრძელდება. ავათმყოფობა უცბად იწყება ციებით, რასაც მყისვე მოსდევს ტემპერატურის მომატება 39—40 გრადუ ამდე. ავათმყოფობას თან მოსდევს საშინელი თავის, თვალების და წელის ტკივილები და სისუსტე. ავათმყოფობის ნიშნები 4 დღეს გრძელდება. საჭიროა პაციენტი ნორმალურ ტემპერატურის დროსაც არ ადგეს ლოგინიდან ორ-სამ დღეს, რათა ავათმყოფობა არ შეუბრუნდეს. ასეთი ფარიზით ადვილათ შეიძლება აცდენილ იქნას ავათმყოფობის გართულება—ფილტვების ანთების მოსვლა.

წამლობა. რაც უნდა ადვილი ნიშნები იყოს ინფლუენციის: მაინც საჭიროა პაციენტი ლოგინად ჩაწვეს და ნოყიერ და მსუბუქ საჭმელი მიიღოს: რძე, კვერცხი ბრინჯის წვენი, და ის საჭმელები, რომლითაც უნდა იკვებებოდეს ავათმყოფი. საჭიროა კუჭის გაწმენდაც. ცოტა ღვინის დალევაც შეიძლება, რომელიც არ უნდა იყოს მაგარი. ტკივილებს ძლიერ ასუსტებს ასპირინი, რომელიც შეიძლება 4 საათში ერთხელ 5 გრ. მიიღოს ავადმყოფმა.

# ბესარიონ ფილიპეს ძე ჭეიშვილი

მცირე ავათმყოფობის შემდეგ შეუბრალებელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა სახალხო გვარდიის ერთი თავდადებული მებრძოლთაგანი—ამხანაგი ბესარიონი.

მეტად ძნელი და სამწუხარო არის მისი დაკარგვა პირველ ყოვლისა მისი მშობლების და ამხანაგ-მეგობრებისათვის, მეტად საგრძნობელია მისი სამუდამოთ ჩამოშორება იმ ორგანიზაციისათვის, რომელსაც განსვენებული მთელი თავის არსებით ეკუთვნოდა—ეს იყო სახალხო გვარდია, რომელშიდაც ამხანაგი ბესარიონი დღიდან გვარდიის არსებობისა მას პირველ რიგში ედგა და საერთო სიყვარული და ნდობა დაიმსახურა როგორც ამხანაგებში, ისე მისს უფროსებ-ხელმძღვანელებში. მე შემთხვევა მქონდა მასთან ერთად რამდენიმე თვე ვყოფილიყავი სხვა და სხვა ფრონტებზედ, სადაც განსვენებული არა ერთხელ შეხვედრია სიკვდილს პირის პირ, მაგრამ ის არასდროს არავითარი საფრთხის წინაშე ქუდს არ იხრიდა. მან არ იცოდა რა იყო შიში და მტრისთვის ზურგის ჩვენება. განსვენებული თავისი თავგანწირული ბრძოლით და პირადი გმირობით საუკეთესო გავლენას ახდენდა მის ამხანაგებზედ.

ბათუმის და ოზურგეთის ფრონტების ლიკვიდაციის შემდეგ ამხანაგი ბესარიონი ჩაეწერა თბილისის სახალხო გვარდიის საველე არტილერიაში და მუდამ ფრონტზე იმყოფებოდა. ამ ორი თვის წინად მისი ნაწილი გავრის ფრონტიდან დაბრუნდა თბილისში, სადაც რამოდენიმე დღის წინად სამუდამოთ გამოესალმა ამ ქვეყანას და მისს საყვარელ გვარდიას.

მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო! სახალხო გვარდიამ შენში დაჰკარგა თავისუფლების და სამშობლოს ერთგული დარაჯი, მე კი, პირადად ბავშვობიდანვე ჩემთან შეზრდილი საყვარელი ძმა და ამხანაგი.

მიხ. ბაგუნაიშვილი.

# თავაშვებული მეჭორე

(ბ. ლ. კვიკვიძეს)

„სახალხო საქმის“ რედაქციამ კეთილ ინება და ამას წინათ გაზეთის მთელი გვერდი დაუთმო ჩემი ლანძღვა-თრევით სავსე წერილს, გაკრეჭილი ხუცესის ბ. ლ. კვიკვიძისას. კეთილი!

ერთმა რაჭველმა გლეხმა ძმისწული თურმე უმაღლეს სასწავლებელში გამოზარდა. სამშობლოში დაბრუნებულმა ახალგაზრდამ ცოდნა იმაში გამოიყენა, რომ თავის გამზრდელს საცხოვრებელი წაართვა. რაჭაში ერთ ადგილს შემოდგომაზე ბაზრობა (იკონობა, იარმუკობა) იციან. და აი, ამ ბაზარში, როცა უმადური ახალგაზრდა ბევრ ხალხში იდგა და გატაცებული ლაპარაკობდა, მივიდა მისი გამზრდელი და თავზე ერთიმეორეში არეული ნავთი და კირი გადაასხა. რატომ მოიქეცი ასე, კითხეს გამზრდელს—მაგას სული და გული ბინძური აქვს, მაგრამ ეგრევინ არტყობს, ეხლა კი, როცა ნავთის და კირის სუნი აუდინდება, უთუოთ იცნობენო, მიუგო მან.

ბ. ლ. კვიკვიძის სულიერი ავლა დიდების გამოსაცნობათ არ არის საჭირო ნავთის და კირის თავზე დასხმა. ამ უკანასკნელის მაგიერ თვით მისი წერილი გამოდგება.

დაუსრულებელ წილაბოდიალში, რომელსაც „სახალხო საქმის“ 682 № ის ერთი გვერდი უკავია, ბ. კვიკვიძე ერთ ადგილს ამბობს: კოოპერატივის გამგეობაში როგორც ამბობდნენ, „ეხ რომ ახე ყოფილიყო, მაშინ თქვენ ხომ მკვდარი უნდა ყოფილიყოთო.“ აი, აქ მარხია ძაღლის თავი, აქ ყველაფერია ნათქვამი.

აქედან იწყება ბ. კვიკვიძის გაბოროტებული შური. მას ეჩვენება, რომ დიდი სიბრძნის პატრონია, ამავე დროს ეჩვენება, რომ არასდროში ირჩევენ, არაფერს ეკითხებიან, არაფერს უჯერიან, ამის მიზეზი ხან მე ვგონივარ, ხან სხვა ეჩვენება და მუდამ ილანძღება და იკბინება, მაგრამ რა გაეწყობა, ასეთი მოჩვენებების გზაზე ვინ ცოტანი შეშლილან?!

აქ რომ აღარაფერი წამოგცდეს, თავში ჩაიბეჭდე შენზე გამოთქმული ლექსი: „ვინ არ იცნობს რუბენ ბიჭსა, ოწერილად ნამყოფს სოფელ ქვეშსაო“ მაშ ნებს ბ. კვიკვიძე. მერე იცით ბ. კვიკვიძევ ვინ გამოთქვა ეს ლექსი? ევგენი დეკანოზმა. მომილოცავს, მიგვგნიათ ამ ბოლოს თქვენი შესაფერი მოძღვარი. მერწმუნეთ ბევრი რამ არის თქვენშორის საერთო. აი, თუნდ ერთი: თქვენ ამბობთ: „ყოფილან ვინ მიხვა იმის გაგების უნარი რასაც ვაკეთებ ხწავლა-განათლების საქმეში, როგორც ხმოსანი, როგორც სასკოლო კომისიის წევრი, როგორც თავმჯდომარე პროფესიონალური კავშირისა, რას ვაკეთებ ადგილობრივ“ და სხვა... ევგენი დეკანოზი ბეჭდავს ფურცლებს, ზოგჯერ ზოგიერთი სახლის კედლებზე ნახშირით დიდი ასოებით წერს და თავის თავს ასე ახასიათებს: „მე გარ დიდი ევგენ დეკანოზი, ქვეყნის მეფე, ქვეყნის თვალიო“. მე რა თქმა უნდა დამნაშავე და ცოდვილი ვარ, რომ თქვენ ორის ლირსეულად დაფასების ნიჭი არ დამყვა, მაპატიეთ ყოვლად ღირსო მამაო ლონგინოზ!

ჩემი მწერლობა თქვენი ხელწამოსაკრავი არ არის ბ. კვიკვიძევ! 18 თუ 19 წლისა მწერლით ვიყავ ერთი წლის განმავლობაში და ეს ხელობა დავსტოვე მისი ცუდი მხარეების შეუხედავად. ამის შემდეგ როცა თქვენ მიცვალებულთა საცხონებლად წაქცეულ ცხვრებს საცეცხლურს უქნევდით, მე უკვე კარგა ხნის პოლიტიკური დამნაშავე ვიყავი. ამას აქვს ცოტა მნიშვნელობა. თქვენ რომ ცხვირის იქეთ იხედებოდეთ ბ. კვიკვიძევ, ან ის რედაქცია, რომელიც თქვენს ლათაიებს ბეჭდავს, რომ თქვენზე მეტ წინდახედულებას იჩენდეს, როცა მწერლებზე ლაპარაკობთ, გაიხსენებდით იმ ფურიძეს, რომელიც კარგა ხანია სოროშია შემძვრალი, რომელსაც ერთხანს „მიწის მუშა გლეხი“ დაარქვეს, და რომლის ხოტბა და სახელი კარგა ხანს არ გადაუსულა ფედერალისტების გამოცემათა ფურცლებიდან.

უსიამოვნო, მოსაწყენი და უსარგებლო შრომაა, მაგრამ მაინც იძულებული ვარ პასუხი გავსცე ბ. კვიკვიძის დანარჩენ აბდა-უბდასაც. იგი ამტკიცებს: რაჭა ლეჩხუმის გზაზე მთავრობამ და მმართველმა პარტიამ დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ შთაბეჭდილების მოსახდენად ავტომობილები გამოუშვეს და შემდეგ ხალხი დაატყუვილესო. ღმერთო, რეგვენი ბ. კვიკვიძევ თქვენ ავათმყოფი ხართ, და „სახალხო საქმის“ რედაქცია გაზეთის თითო გვერდის დათმობის მაგიერ, რომ ექიმს გიშოვიდეს, თითონაც მოგებული იქნება, მეც დამიხსნის თქვენი ჩხირკედელაობისაგან და თქვენთვისაც კარგია.

ავტომობილების მოძრაობა დაიწყო და როგორც დაიწყო დღემდე ისე გრძელდება. მაშ რაშია მოტყუილება? იმაში, რომ ეს მოძრაობა სასურველის წესრიგით ვერ მიმდინარეობს? ამ წესრიგისათვის საჭიროა გზის შეკეთება, რომელსაც ხარჯთ აღრიცხვის მიხედვით მილიონობით სჭირია, საჭიროა ავტომობილების რიცხვის გამრავლება, რაც დღევანდელ პირობებში ძნელი მოსახერხებელია, ყველა ამას კიდევ ხელს არ უწყობს ჩვენი რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობა. ეს ყველასათვის გასაგებია, ვინც თქვენსავით უადგილო ლირსას არ არის დაჩვეული ბ. კვიკვიძევ! შეიძლება არჩევნების, ან სხვა რომელიმე დროს, ვინმე ხალხს დაპირდა მიმოსვლის მოწესრიგებას და ეხლა დასახვრეტი იმიტომ გგონია მთავრობა და მმართველი პარტია, რომ ეს არ შესრულებულა. ვისაც თავი თქვენსავით არა აქვს მოწყობილი ბ. კვიკვიძევ, იმას ეცოდინება, რომ ხალხს სოციალიზმსაც პირდებიან, მაგრამ დაპირების დღესვე ვერ აძლევენ. თქვენ არავის შეპ რებიხართ ბ. კვიკვიძევ მიწის სოციალიზაციას? აბა ლაიდევი „უფლის მოლალატე“ სულზე ხელი და სთქვი მართალი...

როგორც წყალ-წაღებული ხავსს, ისე ჩაებღაუჭებია ბ. კვიკვიძე ერთ-ერთ კრებას, სადაც მე ხალხს ვურჩიე: ნუ აყვებით პროვოკატორებს, რომლებიც ტყუილ მახალაზე ბაეის დადებას გამო ზხამა ანთხევენ და პირველ ნომერს და ხოც. დემ პარტიას გაძულებენთქო. მე რომ პასუხი არ გამეცა, ხალხი „პოგრომს“ მოახდენდა, იმ ტყის მცველებს აიკლებდა, რომლებთაც მენშევიკების ბალიშია კრიპათ არა აქვთ გაბდილიო. ასე გამოყავს საქმე ბ. კვიკვიძეს.

ვინ გინდათ დააჯეროთ ბ. კვიკვიძევ ამაში? თქვენს სიტყვაზე ხალხი არამც თუ რაიმე თავის განზრახვას დაითმოებს, არამედ ბუზსაც არავინ აიფრენს. თქვენ რომ სირცხვილის სიწითლე სახეზე ამოდიოთ რამ, განა გაბედავთ იმ ფაქტის დამახინჯებას, რომლის მოწამე რამოდენიმე ათასი კაცი იყო? ვსთქვათ ერთ ადგილს თქვენ იპ ტით ეს „მენშევიკების ბალიშის“ მოწინააღმდეგენი, სხვაგან ხომ თქვენ ალარ იყავით, მე ხომ ბევრ ადგილზე მქონდა ამ საგანზე საუბარი? რატომ არსად მოხდა უსიამოვნება? რასაც ამ ტყეების შესახებ თქვენ აბდა-უბდას მაწერთ, ამის შესახებ ამბობთ: „კეთილ ინებოს ბ. ყიფიანმა და მოგვთხოვოს ამის დამტკიცება რა გზითაც ენებოსო“. კეთილი. ჩვენ ორში ამ კითხვაში რომელი ვართ მართალი, იმავე კრებას დავადასტურებინოთ, რომლის წინაშეც ვსაუბრობდით. თუ განაჩენი თქვენი სასარგებლო არ იქნეს, უბრალოთ ჯარიმას გაკმარებთ: იგი (განაჩენი) თქვენის ხელის მოწერით და ხარჯით დეპეშით აცნობეთ თქვენს მოამბეს „სახალხო საქმის“ რედაქციას. აი, ასე „ნებავს“ ამ ფაქტის დამტკიცება და აბა თქვენ იცით თუ უკან არ წაიღებთ დანაპ რს ბ. კვიკვიძევ!

ლეჩხუმის მაზრის ერობის აგრარულ განყოფილებას ერთ-ერთი ფონდში გადასული წისქვილი იჯარით მიეცა ადგილობრივი ღარიბი, ცოლშვილით და ტვირთული მოწინავე გლეხი დიმიტრი ჩხეიძისათვის. ერთხელ მე ამ ჩხეიძეს შვილი მოუნათლე, დაიხვია ეს გარემოება ბ. კვიკვიძემ ხელზე და გლახა ჭრიაშვილივით დაუძრულებლათ ენაზე აკრია: მენშევიკს ნათლიმამამ წისქვილი როგორ აილოვო. გადაჭრით ვამბობ, რომ არავითარი კავშირი ამ საქმესთან არა მაქვს, ამას, თუ საჭიროა დარჩა, დაამოწმებს ის დაწესებულება, რომელმაც ეს წისქვილი გასცა, მაგრამ ქაც რომ მოვხმარებოდი ღარიბ კაცს, ეს განა სირცხვილია? ბ. კვიკვიძევ! თუ ასე გლახა საქმე იყო ეს ნათლიობა, აი, სანამ გაიკრიჭებოდი, ბაეშვებს რომ ნათლავდი და ცხვრის მეებს მიირთმევდი, რაზე ატყუებდი ქვეყანას?

ეხლა ისევ ქრიბალოს კოოპერატივზე და მასში გამეფებულ პარტიობაზე ბ კვიკვიძე! თქვენ ამბობთ, კოოპერატივს პარტიობამ ავნოო. მე უკვე მოგახსენეთ, რომ კოოპერატივში მუდამ გამგეობის წევრად იყო სანამ სურდა თქვენი ამხანაგი ბ. გაგოშიძე. თქვენ თვითონ ძლიერ თავი მოგაქვთ და ყოყოჩობთ სარევიზიო კომისიაში მუშაობით. მაშ სადღაა აქ პარტიობა? სადაც პარტიობა და ჩაკეტილში მუშაობაა, იქ განა მოწინააღმდეგეს სარევიზიო კომისიაში გაუშვებენ და ყოველივეს წინ დაულაგებენ? თქვენ ამბობთ ბ. კვიკვიძევ: „უტიფრად სტყუით, როდესაც ამბობთ, რომ ვითომ მე გამგეობის წევრათ ვყოფილიყოო“. ეს დაგვიხსომოთ. „სახალხო საქმეში“ მეორე გაპარსული ხუცესი, ბ. პ. გაგოშიძეც მომაყენა და 715 №-ში მასაც მოაპ ნათლინა ჩემი თავი (რას ჩამაცივდით ეს გაკრეჭილი ხუცესი?). აქ ერთ ადგილს ბ. გაგოშიძე ამბობს: „კვიკვიძემ, როცა პარტიობა დაინახა, მიანება გამგეობის წევრობას თავიო“. თუ არ ყოფილხართ გამგეობის წევრათ, როგორ მიანებეთ თავი ბ. კვიკვიძევ? რომელი სტყუით თქვენ ორ გაპარსულ ხუცესში, რომელი ატყუილებთ „სახალხო საქმის“ რედაქციას ისე, როგორც წინეთ გლეხებს ატყუილებდით ცხვრის კურთხევაზე? კოოპერატივში რომ პარტიობა იყო ამას თითონ თქვენი ამხანაგები გაუყვებოდნენ ქუჩაშიო, ბრძანებთ ბ. კვიკვიძევ! დიდი უსუსური უნდა იყოს კაცი, რომ ამ გარემოებით ყოყოჩობა დაიწყო, რაც თქვენ აქ სახეში გაქვთ.

მახსოვს ერთხელ კოოპერატივში გამგეთ იწვევდნენ ბაქოელ მუშას გალაქტიონ ქელიძეს. ეს გარემოება ჯერ ბ. კვიკვიძეს ჩირქი ნემსით გულში, შემდეგ ამაზედვე განაწყენდა ერთი ადგილობრივი ვაჭარი ნ. ლეკიშვილი, რომელიც ამ ადგილს თავისათვის ითხოვდა და რომელსაც ჩვენ უარი უთხარით. ლეკიშვილი მართლა ჩვენი მახლობელი კაცია, და იმისათვის უვარგისობის გამო კი არ შეგვიძლია გვერდი, არამედ ვფიქრობ: ვაჭარი რომ არის, ვაი თუ ამის გამო ხალხმა ცუდი შთაბეჭდილება გამოიტანოს და კოოპერატივს შორის დაუდგესთქო. ამით გაჯავრებული ლეკიშვილი ქუჩაში კოოპერატივზე ლაპარაკის დროს მთვრალი წამოგვე წრო და მართლა სთქვა: „ქელიძე პარტიის კაცია, რათ მოიყვ ნეთო“. როგორც წყალწაღებული ხავსს, ისე კვიკვიძეც მოებღაუჭებია ამ ფაქტს და ჰგონია თითქოს ეს მის სასარგებლოთ რასმეს ამბობდეს. ლეკიშვილი რომ დაგვეყენებია, რა გასწორდებოდა, თქვენ ხომ იმასაც პარტიის კაცს დაუძახებდით ბ. კვიკვიძევ? ჩვენ და ლეკიშვილი არც იმდენათ წავკიდებულვართ და დავშორებივართ, ბ. კვიკვიძევ! ტყვილა დ სდევთ მას ფინიასავით, ტყვილა იღრიჯებით ცაგარლის ხანუმა მიპანკალსავით.. თუ მოგეხსენებათ, ერთმა რაჭველმაც კარგა ხანს სდია კინტოს: უკან მოქცეული თუშური ქუდი გადმოუყვარდება და ავილებო, მაგრამ არასდეგი გამოვიდა, არ გადმოუვარდა კინტოს ქუდი...

თქვენ კიდევ ჯავრობთ ბ. კვიკვიძევ: ყოფილ ნოქარს თუ გამგეს საქონელი რათ გაატანეთ, ამხანაგობამ იზარალაო. ეხლა ყური დაუგდეთ თქვენს ძმა ბიჭს გაგოშიძეს, რას ამბობს იგი „სახალხო საქმის“ 715 №-ში; „უნდა აღვნიშნო, რომ კოოპერატივში იყო 60 ფ. მატყლი და 100 ფ. მარილი, რომელსაც ხალხი იმ დროს არ ყიდულობდაო“. ამას თუ დაუმატებთ იმ გარემოებას, რომ არც ერთმა გამგეობამ მაღაზიაში ფეხი არ შესდგა იმ საქონლის გამო, რომელსაც თვით განაგებდა წევრის, ბ. გოგოშიძის სიტყვით იმ დროს ხალხი არ ყიდულობდა, მაშვენ გვიბრძანეთ: რით გაგვესტუმრებია მოსამსახურეთა ჯამაგირი, ბინის ქირა და რით მოგვეტანა ახალი საქონელი? ხლა ხომ ხედავ ბ ნო კვიკვიძე როგორ უჩქმოთ აეტყვნებით თქვენ და თქვენი ძმა-ბიჭი ერთი-მეორეს? აი იცის როცა „დაიკვნებთან“ და „სტარისტებ-თან“ ადვილათ ფონს გასვლას დაჩვეული ხუცები გაზეთის ფურცლებზე გამოვლენ საჯაროთ!

თქვენ ტრაბახობთ ბ-ნო კვიკვიძევ სარევიზიო კომისიაში მუშაობით. კეთილი, მაგრამ ასეთ კარგ რევიზორს როგორ დაგრჩათ შეუნიშნავი, რომ კოოპერატივს ჰქონდა სასადილო და იგი უცბ თ მიაყიდეს. ერთხელ ვგონებ თქვენ ბ ნმა რ. სალუქვაძემ სახლიდან გაიგდო რესტორანით, სწორეთ ამის გამო თქვენმა ძმა-ბიჭმა გაგოშიძემ სასადილოს ლიკვიდაცია უქნა, და სადაც იგი იყო იქ თქვენ დაბინავდით. რას ამბობს ამის შესახებ თქვენი რევიზია?

„სწორედ მთელი უბედურებაც იმაშია ბ-ნო რუბენ—ამბობს კვიკვიძე ერთ ადგილს,—რომ ყველგან და ყოველთვის იმის ცდაში ხართ თქვენ და თქვენი კომპანია, რომ აკეთოთ და სთქვათ არა ის, რაც ხალხს გამოადგება, არამედ ის რაც პარტიას გამოადგება“. რადგან პარტიის სასარგებლოთ მუშაობას და ლაპარაკს კი ვაზრახებთ თვით თქვენის აზრითაც კი, ბ. კვიკვიძევ, არ ყოფილა მთლად გლახათ საქმე. ხალხი და ჩვენი პარტია ჩვენში ერთი და იგივეა და ეს. მართალია თქვენ არ მოხვდებით ამ ფარგალში, მაგრამ რა გაეწყობა.

მაინც ამ კოოპერატივს რომ ჩაიცვდით, რა დიდი კოოპერატორი გგონიათ თავი ბ. კვიკვიძევ? თქვენ არ ბრძანდებოდით სიმინდის მაგიერ კამფეტებით რომ ავსეთ ონის კოოპერატივი? აღარ გახსოვთ ამაზე ახალგაზრდა დასელის წერილები? ნუ სწუხართ, ქრიბალოს კოოპერატივს არა უშავს რა. თქვენ და გაგოშიძემ დაიდევით წინ და თქვენი ძველი ანაფორები იტირეთ ქრიბალოს კოოპერატივის ნაცვლად.

კმარა! თქვენს მახლობლათ სოფელ გალში ბ. კვიკვიძევ, მიხეილ გელოვანს ერთი ძაღლი თურმე ყავს, რომელიც მუდამ ღრენს და იკბინება. კბენს ყველას: ქალს, კაცს, სტუმარს, მასპინძელს, იკბინება როცა ეფერებიან, იკბინება მაშინაც როცა აჭმევენ.

ვიცი ბ. კვიკვიძევ, რომ თქვენთვის არ არსებობს არავითარი დამტკიცება, თქვენი ბუნებაც მუდმივი ღრენა და კბენაა და თქვენც ვერასფერი ზეგავლენ, ამიტომ მშვიდობით ბრძანდებოდეთ, დამილოცნია თქვენი თავი „სახალხო საქმის“ რედაქციისათვის და იჯირითე სანამ ბოტანოს გაზეთის ფურცლებმა თქვენი ქარაფშუტობა.

რ. ყიფიანი.

P. S. აქვე შემეძლო ორიოდე სიტყვა მეთქვა მეორე გაკრეჭილ ხუცესის, გაგოშიძის წერილის გამო, მაგრამ მასთან კამათი უბრალო დროს დაკარგვათ მიმაჩნია. ისიც მეყოფა, რომ ერთს გადვეკიდე, და ეხლა კიდევ მეორეს გამოუყვლი ლერთმა მაშორის. გაგოშიძის წერილში არის ერთი ადგილი, რომელიც ლეჩხუმის მაზრის ერთი საზოგადოების—ქვეშის რაჭზე მიწერას შეეხება. ამის შესახებ სხვა-და-სხვა აზრი ტრიალებს თვით ჩვენ ამხანაგებში. ამიტომ ამაზე ცალკე გვექნება საუბარი.

რ. ყ.

# სახალხო სახლი

არ იქნა, არ ეშველა და ბოლო არ მოეღო სახალხო სახლის სცენაზედ ბოროტმოქმედებას. ამ თეატრის დაარსებიდან—დღემდე, სისტემატიურათ სწარმოებს ქურდობა სცენის მოყვარეთა ფოიეში და საპირფარეშოებში. და ამ საძაგელ სენს წამალი ვერ დასდეს.

როდესაც სახალხო სახლის გამგეთ ი. ზუბანიშვილი იყო, მან ზევით საპირფარეშოებში დააყენა კაცი, რომელსაც უნდა იდევნებინა თვალყური, რათა უცხო პირები არ შესულიყვნენ სცენაზე, მაგრამ ქურდობა მაინც სწარმოებდა. არც ერთი სცენის მოყვარე არ არის, რომელიც არ იყოს გაქურდული. ეხლა სცენის კარებთან სდგას მორიგე დარაჯი, რომელიც უცხო პირთ კი არა, არამედ იმ სცენის მოყვარეთაც არ უშვებს სცენაზედ, რომელნიც მორიგ წარმოდგენაში არ იღებენ მონაწილეობას; მაგრამ ქურდობა მაინც გაძლიერებულია, იპარავენ „ფოიედან“ პალტოებს, ქუდებს და სხვა, საპირფარეშოებიდან ფულებს, ბეჭდებს ან ოქრო-ვერცხლის ნივთებს და სხვა რასაც კი მოასწრობენ. იპარავენ გარდერობის ტანისამოსებს, იპარავენ ქირით მოტანილ ტანისამოსებს, ეხლახანს ტანისამოსის გამქირავებელმა ქართ. წრეს რამდენიმე ათასი მანეთის ანაზღაურება მოსთხოვა. ასეთი ბედი ეწვია ამ რამოდენიმე დღის წინათ რუსულ წრეს და სხვა. 4 იანვარს პიესა „მელანიის ოინები“ ს თამაშობის დროს ნ. გოცირიძეს საპირფარეშოდან მოჰპარეს 900 მ. ვინც იცის გოცირიძის საპირფარეშო, ის ადვილად მიხვდება, რომ იქ უცხო პირი ვერ შევიდოდა და უეჭველია ქურდი შინაურია. რასაკვირველია, ვერ ვიტყვით დაბეჯითებით ვინ არის ქურდი, რომელიც თავისი მოქმედებით მთელ მუშამოსამსახურეებს ჩირქს სცხებს. საჭიროა მუშებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოების და შეეცადონ აღმოაჩინონ ბოროტ მოქმედი, რომელიც მთელ სახალხო სახლს ჩირქს სცხებს.

მოკეთე.

# რკინის გზაზე

დღეხარ სადგურზე და ხშირად გეს მის ადგილი არ არის მატარებელში, დაგრჩი, რაცა მეშველება და სხვა... ეს გაჭირვება ყოველ დღე მეორდება. აქ კი ხედავ შემდეგ წესს. თფილისიდან ბათუმამდე დადის ჩქარი მატარებელი. თან დააქვს ვაგონი რესტორანი, რაც ზედმეტათ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მცირე მანძილია და განცხრომა შეიძლება ვანაცვალოთ ხალხის ტანჯვას. ხსენებული მატარებელი გადის თფილისიდან საღამოს 11 ს. 30 წ. მიდის ბათუმში დილის 10 ს. 47 წ. მგზავრს თავისუფლად შეუძლია გამოიძინოს ისე, რომ უბუფეტობამ ხელი არ შეუშალოს. ეკონომიური მხრითაც ხსენებული წესი წარმოადგენს დიდ ზარალს რკ. გზ. კასისათვის. ტეხნიკური კანონების ძალით მატარებელი დგება განსაზღვრული წონის. მაშასადამე, ზედმეტი ვაგონის მიბმა (წონას ზევით) ყოვლად დაუშვებელია. გამოვიანგარიშოთ ციფრებით. ვაგონ-რესტორანის მაგიერ ჩავურთეთ მატარებლის შემადგენლობას ერთი ვაგონი პირველი კლასისა. ამ ვაგონში არის 20 საწოლი ადგილი. პირველი კლასის ბილეთი ბათუმამდე ღირს 269 მ. „პლაცკარტა“ 140 მ. სულ 409 მ. 20 ადგილი ღირება 8180 მან. 2 ვაგონი აკეთებს თვეში 60 მგზავრობას. ამნაირად თვეში შემოიტანს 490.800 მ. ვაგონი რესტორანი იძლევა თვეში მხოლოდ 10.000 მ. მ სთან განათება, გათბობა და მოწყობილება, ყველაფერი ეს არის რკ გზისა. ამგვარად რესპუბლიკის კასა ზარალობს თვეში 480 800 მანეთს. მაშასადამე, როგორც ეკონომიის მხრივ, აგრეთვე ზნეობრივობის მხრივ, ვაგონ რესტორანის მაგიერ უმჯობესია მივათავსოთ მატარებლის შემადგენლობაში სამგზავრო ვაგონი.

ზხამი.

---

ამ დღეებში მომიხდა რკინის გზით მგზავრობა სად. ქარელიდან თფილისამდე. ბილეთში სადგურის მოლარემ 83 მანეთი გადამახდევინა. მე ვიცოდი, რომ ქარელიდან თბილისამდე ბილეთის ფასი ასე დიდი არ უნდა ყოფილიყო, ამიტომ საქმის გამოსარკვევათ მივმართე სადგურის უფროსს, რომელმაც განაცხადა, რომ ბილეთი ღირს 63 მან. სადგურის უფროსსა და მოლარეს შორის გაიმართა ლაპარაკი. ერთი თავისას ამტკიცებდა, მეორე კიდევ თავისას. ჩემი იქ ყოფნის დროს ისინი ვერ შეთანხმდენ. აქ ირკვევა, მაშასადამე, შემდეგი გარემოება: ან მართლაც არ იცის სადგურის ადმინისტრაციამ ბილეთის ფასი, ან ბოროტმ ქმედებას აქვს ადგილი მოლარის მხრივ; უკანასკნელმა ამ ინციდენტამდე უკვე რამდენ მე ბილეთის გაყიდვა მოასწრო. როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევა დაუშვებელია და ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

იოსებ გძელიშვილი.

# ერობათა ცხოვრება

კავშირის კომიტეტი

17 იანვრის სხდომის დადგენილებით უქმდება სახელწოდება „ყოფილი სასურსათო საქმე“ და ამ არსებობასთან დაკავშირებული თამდებობათა სახელწოდებანი; ეცნობოს ეს ყველა ერობებს და ყოფილ სასურსათო საქმის პერიფერიულ ორგანიზაციებს, აგენტებს და სამინისტროებს.

ამავე სხდომაზე დადგენილ იქნა: მიღებულ იქნას პრინციპიალად ფინანსიური სტატისტიკური საინფორმაციო აგრონომიული და იურიდიული საერობო მომუშავეთა შრომის ბირჟას განყოფილებათა დაარსება. შესაფერი ინსტრუქციის შემუშავება ევალება მ. ციკვაშვილს.

ერობათა კავშირის ყველა დაწესებულებებში საქმის წარმოება უნდა ხდებოდეს სახელმწიფო ენაზე. გამონაკლისი შესაძლებელია დაშვებულ იქნას იმ განყოფილებისათვის, სადაც ამას საქმის ინტერესები მოითხოვენ.

# ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 15 იანვარს შესდგა მ. პ. მესამე რაიონის კოლლექტივის ჩვეულებრივი სხდომა.

განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა მოკავშირეთა მიერ, 2) ანგარიშები, 3) ბავშვთა საზოგადოება „კაპეიკა“, 4) ახალგაზრდა მარქსისტების წრე, 5) საანბანო განყოფილებების დაარსება ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტთან, 6) საზოგადო კრების მოწვევა, 7) 12 დეკ. შემოსავალის გადაცემა სახალხო გვარდიის შტაბისთვის, 8) სინემატოგრაფის მოწყობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ კოლლექტივი ერთხმად ლებულობს შემდეგს: სალამი უძღვნას დემოკრატიის ბელადს ნოე ჟორდანიას, რომლის მიერ შეწონილი პოლიტიკური ხაზი დღემდის ხსნელი და მფარველი იყო საქართველოს დემოკრატიისა, სალამი უძღვნას გვარდიას და ჯარს, რომლებმაც შეურყევლად ატარეს წითელი დროშა თავისუფლებისა. 2) გასული წლის ანგარიშების შესახებ კოლლექტივი ადგენს, სასწრაფოდ შესდგეს მთელი წლის იდეიური და ფინანსიური მხრით მუშაობა კოლლექტივისა და მოხსენება გაკეთდეს ამის შესახებ საზოგადო კრებაზე.

საზოგადოება „კაპეიკის“ შესახებ მიღებულ იქნა, რაც შეიძლება მეტი წევრები ჩავწეროთ ამ საზოგადოებაში, რათა მომავალი არსებობა საზოგადოების გაუმჯობესებულ იქნეს, როგორც ფინანსიური მხრით, ისე შესაფერისი გამგეობის არჩევით.

ახალ-გაზრდა მარქსისტთა წრის შესახებ კოლლექტივმა დაადგინა შემდეგი: ეცნოს მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტს რომ მესამე რაიონის ახალ-გაზრდა მარქსისტებს აღარ ჰყავთ იდეიური ხელმძღვანელი, რომელიც სისტემატიურად აწარმოებდა წრეში მეცადინეობას, რათა ცენტრალურმა კომიტეტმა მისცეს ახალ-გაზრდა მარქსისტთა წრის ხელმძღვანელი.

საანბანო განყოფილების გახსნის შესახებ, კოლლექტივი ავალებს ამხანაგებს, რათა თავი მოუყარონ მსურველთ, წერა-კითხვის არ მცოდნე პირთ, განურჩევლად სქესისა, 16—30 წლიანებს, რომ მათ შეისწავლონ წერა კითხვა უფასოდ ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტში: გვარდიის დღის 12 დეკემბრის შემოსავალი 4000 მ. დაევალა ამხ. იოს. ხუციშვილს გადასცეს მთავ. რ შტაბს.

საზოგადო კრების მოწვევის შესახებ კოლლექტივმა მიიღო დადგენილება, რათა საზოგადო პარტიული კრება მოწვეულ იქნეს 25 იანვარს, სადაც მოხდება კოლლექტივის ახალი არჩევნები. პარტიის წევრთ წევრებმა თან მოიტანონ პარტიული წიგნაკები, წინააღმდეგ შემთხვევაში, კრებას ვერ დაესწრებიან. საკანდიდატო სიის შესადგენად კოლლექტივმა აირჩია შემდეგი პირები: ამხ. იოს. ბარამაშვილი, და სარქის ამბარცუმოვი. სახალხო უნივერსიტეტში სინემატოგრაფის დადგმა მიენდო ამხ. გ. გალუსტოვს.

მერხვი.

# მუშათა შორის

თფილისი. ხაზკლამ მუშა მოსამსახურეთა ხამკითხველო. 27 დეკემბერს, ადგილობრივმა კულტურულ-განმანათლებელ კომისიის წევრებმა გამართეს მუშათა კლუბში წარმოდგენა ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. შემოვიდა სულ 19,845 მ ხარჯები იყო 3 024 მან.

წმინდა შემოსავალი დარჩა 16 821 მ. სახკლამის მუშა მოსამსახურეთა კულტურულ განმანათლებელი კომისია უღრმეს მადლობას უცხადებს ყველა იმ პირთ, რომელთაც აღმოუჩინეს დახმარება ბიბლიოთეკას. პ. ბოკერია.

---

ავლაბრის მუშათა კლუბი. 12 იანვარს შესდგა ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობის სხდომა, რომელმაც პირველათ მოისმინა მოხსენება ამხ. სარქის ამბარცუმოვისა, რომელიც ეხება მუშათა კლუბის წარსული წლის ანგარიშებს და დაადგინა, რომ მომავალ კრებაზე ხაზინადარმა და პრეზიდიუმმა წარმოადგინონ ანგარიშები, რომელსაც განიხილავს გამგეობა.

ბავშვთა საზოგადოების შესახებ გამგეობამ მოისმინა მოხსენება ბ-ნ ანტონ თუმანიანისა და დაუთმო მას მუშათა კლუბის დარბაზი ბავშვთა დილის გასამართავად.

თარხანოვის განცხადება.—რომ მას სურს გამართოს მუშათა კლუბში მუსიკალური დრამა, გამგეობამ დააკმაყოფილა და მისცა მას თავისუფალი დღე პრეზიდიუმთან შეთანხმებით. წერილობითი განცხადების განხილვა ავლაბრის სცენის მოყვარეებისა გამგეობამ გადასდო 16 იანვრისთვის, აირჩია კომისია, რომელიც ზემოხსენებულ რიცხვში მოიწვევს სცენის მოყვარეთ და რეჟისორს ბ ნ დავით ჩარკვიანს, რომლის თანადასწრებით განხილულ იქნება სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი განცხადება და მათ მიერ მიღებული დადგენილების ოქმი. ვ—გი.

---

ნავთლუღის რაიონი. ადგილობრივ მუშათა უმეტეს რიცხვს რკინის გზელები და სახკლამის მუშები წარმოადგენენ, რომლებიც შეკავშირებული არიან თავიანთ, როგორც პროფესიონალურ, ისე პოლიტიკურ ორგანიზაციებში; მხოლოდ ამ უბანში არის ერთი დაწესებულება, სადაც არავითარი შეკავშირება არ არსებობს მოსამსახურეთა შორის, რაც მიუტევებელ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს. ადგილობრივ მოწინავე ამხანაგების მოვალეობას შეადგენს, აიღონ თავიანთ თავზე საერთო ხელმძღვანელობა და აქტიური მუშაობა გააჩაღონ უბნის ყველა კუთხეში; საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი მუშაობა ამ რაიონში მოდუნებულია. არ არსებობს ერთი კულტურული ცენტრი, სადაც შეიძლებოდა მუშათა მასის შემოკრება. ის კლუბი, რომელიც რაიონულ შტაბის ხელშია ვერ აკმაყოფილებს მუშათა სულიერ და კულტურულ მოთხოვნილებებს. კლუბს არ ყავს თავისი გამგეობა, არ იდგმება სისტემატიურათ წარმოდგენები. განზრახული იყო სახალხო უნივერსიტეტის განყოფილების გახსნა, მაგრამ ჯერჯერობით განზრახვა—განზრახვათ დარჩა. საჭიროა ადგილობრივი ძალების დარაზმვა, როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ სფეროში, თუმცა ინტელიგენტური ძალები ძალიან მცირეა, მაგრამ სამაგიეროდ ძველი ბრძოლაში გამობრძმედილ და გამოცდილ მუშების რიცხვი, არც ისე მცირეა, რომ არ შეიძლებოდეს ამ უბნის დემოკრატიის ფეხზე დაყენება. პ. ლეჩელი.

# პროვინცია

ახალციხიდან ფოცხოვამდე.

დილის 10 საათი იქნებოდა, როცა ახალციხიდან წავედით ფოცხოვისაკენ მე და ერობის წარმომადგენელი.

ჩვენ შევედით სოფელ სუხლისში, რომელიც ახალციხიდან 2 ვერსით არის დაშორებული. ეს სოფელი ცნობილია როგორც ხახვის მოსავლიანი ადგილი და კარგი ხახვიც მოდის აქ. სუხლისში მცხოვრებთა უმეტესობა სომხებისაგან შესდგება და ამიტომ ამ სოფელს სომხის სოფელს უძახიან.

ამ ხანათ სუხლისი სპეკულიანტების ბინათაა ქცეული, როცა ერობამ კარტოფილზე მტკიცე ფასები შემოიღო, სპეკულიანტებმა აქ მოიყარეს თავი—უხვდებიან ფოცხოვიდან მომავალ ურმებს, ყიდულობენ კარტოფილს, შემოაქვთ ახალციხეში და მამასისხლათ ჰყიდიან.

სუხლის რომ გაშორდებით, იწყება: საყანე ჰოპა-გორიანი ადგილები. მიწებს ეტყობა, კარგ მოსავალს უნდა იძლეოდეს.

გზა-ტკეცილი, რომელიც ახალციხიდან არდაგანში მიდის (ფოცხოვში გავლით) ზოგიერთ ადგილას გაფუჭებულია.

ახალციხის მხარე რაღაც არაჩვეულებრივ ბუნებას წარმოადგენს ბორჯომში და მის მიდამოებში დიდძალი თოვლი ძევს, საშინლათ ცივა. როგორც გამოშორდები აწყურს, იწყება სითბო, და თუ მთებზე თოვლს, თვალით ვერ ნახავ თვით ჯაყის მდი. (ფოცხოვში) გზაში ყანები ბიბინებენ, მინდორ ველს მწვანე ფერი გადაკვრია. ზამთარი კი არა, თითქოს გაზაფხული იწყებაო.

ორ საათზე უკვე ველში ვიყავით. ეს სოფელი გაშენებულია მთის ძირას, ჩაღრმავებულ ადგილას. ახალციხეზე ვალე ათი ვერსითაა მოშორებული. აქ არის საზოგადოების კომისარიო და ერთი სკოლა. მცხოვრებნი 400—500 კომლამდი იქნება. სარწმუნოების მიხედვით ასე განიყოფებიან: მართმადიდებლები, კათოლიკები და მაჰმადიანები. ყველა—მორწმუნეს აქვს თავის საყდარი. აქ არის ძველის ძველი ეკლესია, რომლის ნაშენობა წააგავს მცხეთის ტაძარს. როგორც გადმოგცეს, ეს საყდარი უნდა იყოს აგებული მეხუთე საუკუნეში. ფოცხოვის ბანდას სულ გაუფუჭებია და გაუცარცვავს.

მთელ ვალეში 5—10 სახლს ვერ ნახავ, რომ მიწის ზედა პირზე იყოს აშენებული, ყველა მიწაშია ჩამჯდარი. სახლების წინა ნაწილს თუ დაინახავ, რომელსაც ჯერჯერის მაგვარი კედლები აქვს და კარი. დანარჩენი სულ მიწაშია და ზევიდანაც მიწა აყრია.—თუ არა საკვამლურები, თქვენ ვერ გაარჩევთ ხალხი ცხოვრობს იქ თუ გორაკებია.

სოფელში საშინელი უსუფთაობაა. ყველას წინ ნეხვის გროვაა. ზოგს ზამთრობით გააქვს ეს და მიწას ანოყიერებს, ზოგის წინ კი მთელი წლობით ყრია ეს უსუფთაობა.

რადგან ახალციხიდან ვალემდე 10 ვერსია, გზაში კი არსად დავისვენია, ამიტომ აქ, ცოტა ცხენებით შევისვენეთ და ჩვენ მღვდელ ჩიტაძეს ვესტუმრეთ. შუადღისას შევეხვიეთ სოფელ ნიობრებში. აქ ცხოვრობენ მარტო სომხები: არც ოსმალების და არც ფოცხოვის ბანდების შემოსევის დროს ეს სოფელი არსად გახიზნულა და სხვა სოფლებივით განადგურება მათ არ იციან. როგორც მიამბეს, ფოცხოვის ბანდა სომხებს ტიით უცქერდა სომხებს და მათთვის ხელი არ უხლიათ.

ღამე ერთ სომხის ოჯახში გავათიეთ უნდა მართალი ვიღვიძრო, ეს სოფელი დიდათ შეწუხებულია მგზავრების მიერ, ვინც ფოცხოვიდან ახალციხეში მიდის, ან ახალციხიდან ფოცხოვში, უსათუოდ აქ უნდა გამოიაროს, ცხენი დაასვენოს ისაუზმოს და ისე წავიდეს. მართალია, ზოგი სვინდისიერათ იქცევა, მაგრამ არიან ისეთებიც, მასპინძლებს მათრახითაც უმასპინძლდებიან.

ჩვენი მასპინძელი გულ-ცივი კაცი გამოდგა, არ უნდოდა ჩვენი მიღება, მაგრამ რას იზამდა. მილიციონერები გვყვანდა თან და ალბათ იმათი მოერიდა. როგორც იყო, ღამე გავათენეთ, მეორე დილით ცოტა ვისაუზმეთ, დანახარჯი მივეცით და გავუდექით გზას.

ისევ მთა გორიანი ადგილები, ისევ საყანე მინდვრები... მდინარე შავ-წყალაზე გასვლის შემდეგ იწყება ტყით დაბურული მთები. თვით მდინარეზე არის გაკეთებული კარგი ბოგირი, რომლის შემდეგ იწყება კარგი გზა-ტკეცილი. ეს გზა გაკეთებულია ომის წინა წლებში. გზა მისდევს მდინარის პირას ჯაყ სუმდის, აქედან შედგება მთას, გადივლის არდაგანის ოლქის უღელტეხილს და ჩავა არდაგანში. ჯაყ-სუიდან გზა ხელდახელოთაა გაკეთებული და მგზავრობაც გასაჭირია.

ჯაყ-სუისში მისვლამდე გზ-ზე გავიარეთ მოლოლაკნტე ბეგების სახლები, რომლის მარტო კედლებია დარჩენილი.

საათის ორზე თვით ჯაყ-სუისში ვიყავით. ჯაყ-სუი (შავ წყალი) მშვენიერ ადგილასაა გაშენებული. აქ თავს იყრის ორი მდინარე არარდაენის ქედიდან და ტბარის მთებიდან მიმავალი, აქ მდინარე ახალი ხიდია გაკეთებული. წინათ აქ ყოფილა საბაჟო, საავადმყოფო, ფოსტა, ტყის გამგე და მრავალი დუქნები. ეხლა დგას გვარდიის რაიონის კომისარი, ტყის გამგის თანაშემწე, ტელეგრაფს ეხლა აკეთებენ. დუქნები სულ დანგრეულია, მხოლოდ ერთი პატარა დუქანი-ღაა გადარჩენილი.

აქაურ ტყის ყოფილ გამგეს გაუშენებია სადღესათ ხეხილის ბაღი, რამოდენიმე დესეტინა, მაგრამ ეხლა გაფერხებულია. ეტყობა, აქ წინათ ცხოვრება ყოფილა, წინ მიდიოდა, ევროპის სახე იმჩნეოდა, მაგრამ ოსმალების შემოსევამ ყველა ეს ჩაჰკლა და აზიის დაღი დაასვა.

იმ ღამეს ჯაყ სუში დავრჩით. მეორე დილით ადრიან წავედით სოფელ ჯაყ-ყურსმანში, რომელიც ჯაყ სუს სამხრეთით არის 3 ვერსზე. ეს სოფელი ძველი, ისტორიული სოფელია. ძველათ აქ ქრისტიან ქართველებს უცხოვრია. აქ არის ძველის ძველ საყდრის ნანგრევი —ეხლა ბოსლათ ქცეული. საყდრის კედლები ჯერაც მაგრათ დგას, ბუნებას მისთვის ბევრი ვერ დაუკლია.

შესავალ კართან გამოჭრილია ჯვარი რომელზეც რაღაც წარწერებია, მგონი ხუცური, აგრეთვე შიგნით გუმბათის ბოძზეც არის წარწერა. მე მინდოდა ყველა ესენი გადმომეღო მაგრამ ვერ მოვახერხე, რადგანაც საამისო არც დრო მქონდა და არც საჭირო იარაღი.

სოფელზე კარგა მოშორებით დგას კოშკი, ეტყობა ეს იცავდა წინათ სოფელს.

აქაურ მცხოვრებს ქართული ენა ყველას დავიწყებული აქვს, სამაგიეროთ ზნე-ჩვეულება, ჩიხვრა-მოხვრა და იერი ქართველური აქვთ. ზოგი ისევ ქართულ გვარს ატარებს დღემდე.

აქედან ჩვენ წავედით სოფელ საკირეში, საკირე ჯაყ-სუის სამხრეთით არის 2 ვერსის მოშორებით. აქაც მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები არიან. ისტორიულ ნაშთებს აქ არ შევხვდრივარ.

ღამე საკირეში დავრჩით მოლა კიკნაძესთან. მან გულ თბილათ მიგვიღო, მოგვიტანა ვახშამი, მხოლოდ ჩვენთან არ ივახშმეს არ ვიცი რატომ, მოერიდათ თუ ასეთი აქვთ ჩვეულობა. ვახშმის შემდეგ მოიყარეს თავი ჩვენთან მეზობლებმა, გავმართეთ საუბარი თარჯიმანის საშუალებით. გვქონდა საუბარი ფოცხოვის ამბებზე, ბეგებზე, საქართველოზე და სხვებზე. ფოცხოვის გამოსვლებს წყევლა კრულვით იგონებენ. რადგან მათ იგემეს იმის ნაყოფი.

ახალციხის ომში, კახელებმა თავი ისახელეს, როგორც კარგ მეომრებმა აგრეთვე კარგ დამსჯელებმა და ამიტომ მისი ყველას ეშინია.

მქონდა ლაპარაკი ახალგაზრდებთან, გამოსაცდელათ ვუთხარი თქვენ ჯარში უნდა გაგიწვიოთ მაგრამ თქვენ ცალკე იქნებით, ქართველებთან არა.—ჯარში დიდი სიამოვნებით წავალთ, მაგრამ ცალკე არ გვინდა, ქართველებთან ერთათ ვიმსახურებთო.

მქონდა აგრეთვე საუბარი სასკოლო ბავშვებთან გავუხსენე თუ არა სკოლა, ყველამ თქვა, ვისწავლითო, მაგრამ ქალაქში წასვლაზე ყველამ უარი სთქვა. აქ თუ გაგვიხსნით სკოლას ყველანი ვისწავლითო.

საათის ათზე მოგვიტანეს ლოგინები. საკვირველია, გარეგნულათ ხალხი უსუფთაო, ლოგინები კი სუფთა, ზეწარი გამოკრული აქვთ.

მეორე დღეს წავედით არელაში, აქაც იგივე ხალხი, იგივე სურათი რაც სხვა სოფლებში, არელაში ძველის ძველი საყდარია, ჯერ კიდევ მაგრათ მდგომი, მხოლოდ გავერანებული. აქედან წავედით დიღურში, დიღური შვიდი რვა ვერსითაა მოშორებული. ჯაყსუზე,— სოფელი მდიდარია. აქ არის ევროპიულათ აშენებული სასახლე ახმედ ბეგის, რომელიც თავის შვილითურთ მოკლა სერვებ ბეგის ბანდამ საქართველოსადმი სიყვარულისთვის.

ყოველგან, რომელ სოფელშიც არ შეხვალ, ხალხი რაღაც არა ჩვეულებრივათ გიყურებს, თითქოს შენ მათთვის მიგქონდეს უბედურობა, ღვთის რისხვა. მასა ძალზე ბეჩავი და განუვითარებელია, როცა მათ აკვირდები იფიქრებ: სადაა დიდებული მესხეთი, აკვანი კულტურა-აღორძინებისა. ნუ თუ ეს მესხეთის შვილებია?

გამიგონია ოსმალეთის უღელი, მაგრამ არ მეგონა, თუ მართლა ოსმალეთის რეჟიმი ასეთი ბნელი და მძიმე იყო. ეხლა დავრწმუნდი რა დღე დაგვადგებოდა, რომ სტამბოლს ჩვენი მიწა წყალი დაეპყრო. არც ის მაკვირვებს ეხლა, რატომ ასე დაჟინებით ისქირებოდენ ჩვენი ნაციონალ-დემოკრატები ოსმალეთისაკენ. მათ სურდათ ხალხის სიბნელე, მონობა და ამას ფაშების მეტი ვინ შეასრულებდა ისე კარგათ?

ბოლშევიკებს აქაური მასა ვერ იცნობს. სამაგიეროთ ლენინს იცნობენ და ძლიანაც ეშინიათ მისი.

აზიური დიპლომატობა აქაც სცოდნია ხალხს. ქართველებთან ქართველები არიან, ოსმალებთან ოსმალები. მათ გულში ორი აზრი ტრიალებს: ოსმალეთი-საქართველო, თუ პირველი არა, მეორე მაინც.

სომხებზე არა აქვთ კარგი შეხედულობა. ძალიან გაბრაზებულები არიან თურქმელებზე.

სანირის უღელტეხილის გადაღმით არის თურქმელების 30 სოფელი. როცა ფოცხოვი ჩვენ გვეომებოდა, მაშინ რამდენიმე შეიარაღებულმა გადაიარა თურქმელებთან დახმარებისთვის. თურქმელებმა ისინი მიიღეს, როგორც მტრები და გაჩაღდა მათ შორის ომი. ამ დღიდან სადაც შეხვდება თურქმელი ფოცხოველს, უსათუოდ უნდა მოკლას ასე იქცევა ფოცხოველიც.

აქ წინათ იდგა სანაპირო რაზმი, რომელიც ეხლა არდაგანში გადავიდა.

ჯაყსუს ახლო მახლო სოფლებს ძალიან აწუხებს ბეგარაზე გაწვევა. ვინც ახალციხიდან არდაგანში მიდის, ან არდაგანიდან ახალციხეში, უსათუოდ ჯაყსუში გაჩერდება, ამ სოფლებმა უნდა გადაზიდ გადაიყვანონ ისინი ურმით თუ ცხენით. ეს კი დიდ უსიამოვნებას იწვევს ხალხში.

ბეგარა ასეთია: არდაგანში დგას ჯარი, სანოვაგეს მიიტანს ჯაყსუში ჯარი თავის ცხენებით, მერმე სოფლებმა უნდა გადაიტანონ ურმებით არდაგანში. ასეთი შემთხვევა ხშირია, უნდა გამოვტყდეთ, ჩვენ ვერ ვიცნობთ მესხეთს. ის ჯერ არ შეგვისწავლია და ერთი თავხედური ნ.ბ-ჯი ახალ უბედურებას გამოიწვევს. მესხეთი ჯერ „ბავშვია მას ცოტა ეწყინება და ცოტა გაუხარდებაო“. საჭიროა გაცნობა, შესწავლა და ისე მოქმედება. არც ერთი კუთხე ჩვენი რესპუბლიკის ისე ჩამორჩენილი არაა, როგორც მესხეთ-ჯავახეთი. ის დღეს ბედიდანაა ამოვარდნილი, ბურუსშია გახვეული და მან არ იცის რა ქნას, ვერ გაურჩევია რა არის კარგი, და რა არის ცუდი.

ახალციხის მაზრაში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მილიციას, ადმინისტრაციის გაჯანსაღებას. დღეს როგორ შეგიძლია ადმინისტრაციის მოსთხოვო ერთგული მოსამსახურე იყოს, როცა მას 3—4 თვის ჯამაგირი არ მიუღია?

როგორც გადმოგცემენ, 4—5 თვის წინათ ახალციხეში კალმით აუწერელი ამბები ხდებოდა, უბრალო მოხელე ბატონ პატრონი იყო მისი და რაც უნდოდა იმას ჩადიოდა, ეს თუ ასე იყო ახალციხეში, მაშინ რა იქნებოდა მაზრაში, მივარდნილ კუთხეში.

მთავრობის ვალია ამ მხარეს მიაქციოს მეტი ყურადღება. რაც შეიძლება მალე უნდა მოიფინოს მესხეთ ჯავახეთი სკოლებით. სწავლა, სკოლები, აი რა უნდა ამ ხანათ მესხეთს. ამას მოითხოვს ჩვენი, როგორც მორალური, ისე პოლიტიკური მიზანი. ქაჯუძელი.


# განცხადებანი

ექიმი ნ. ჯ. რუხაძე

გადავიდა ფოთში. მისამართი: დიდი კუნძული, კავაროვ-ს სახლი (კომისარიატის გვერდით). (271 2—1)

---

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

ვ. ვ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3230—თ.

---

ექიმი

ვ. ი. მირიანაშვილი

შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5— საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის ... თიაქის ახლო. (249)

---

ექიმი ლ. ა. ხარაძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6— საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № ... ავჭალის აუდიტორიის ახლო.

---

ექიმი ა. დ. კეკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

---

ექიმი

ნ. ლ. ცურიაშვილი

იღებს შინაგან, საშვილოსნო და ქალ... ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1— ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო. ტელ. 14—13. (119—თ.)

---

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმ ნავასარდიანის

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) დაფუძნ. 1880 წ.

ყოველ დღე კვირის გარდა.

„606“ და „914“ 11—12 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ... რურ. და ვენ. ავად. (სიფილისი).

ვ. მ. ამახაროვი —10—12 ს. შინ... ნერვ. და საბავშო ავად. ელრო.

მ. მ. ავეტიხიანი 11—12 ს. ვენ. ავ... (სიფილ.) ხირურგ.

კარუკებ-ბებურიშვილი—12—1 სა... (ორშ. ოთხ. და პარასკევი). ქალ... ავად. და ბებიობის ნაწილი.

ე. ა. ბორეეკოვსკაია—12—1 სა... (სამშ. ხუთშაბ. და შაბათი).

ტერ გრიგორიან—12—1 ს. შინ... და ბავშვთა.

ღარიბებს დარიგება უფასოდ.

საავადმყოფოს დირექტორი (180—თ.) ექიმი ნავასარდიანი

---

კერძო სამკურნალო

ექ. დონხინისა

(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № ... ტელეფ. 5—87

(სამხედრო სასწავლებლის წინ კინ... ტეატრ „აპოლოს“ გვერდით). ყოველ... გვარი სნეულებიანი ავათმყოფების ... ღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახ... (თ. 218)

---

ექიმი ვ. მ. მშინარიშვილი

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი ... კიროჩნის ქუჩ. № 23 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87. (114—თ.)

---

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი. ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილ... 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათ... მდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № ... (თ. 3065).

---

დოქტორი მედიცინის

ა. ა. მონსე

სნეულებანი შინაგანი და ნერვების. წამლობა ელექტრონით, ლურჯი სინათლით გიპნოზით და შთაგონებით. ავათმყოფობანი კუნთებისა, სიდამბლის და სქესობრივი სისუსტისა.—მიღება დილით: 10½—1 საათ. საღამოთი: 6—7 ს. ხუთშაბათს გარდა კვირაობით არ მიიღება ავადმყოფები. პლეხანოვის ქუჩა (მიხაილოვის პროსპ.) № 111. ტელ. 13—42. (თ.—3)

---

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

---

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

---

ექიმი მ. ბ. ზაზრაძე

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ... ქუჩა № 33